პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 6 ნოემბერი, 1943 წ. № 231 (6856). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა სამშობლოსათვის საბრძოლველად მიდიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები. გაუმარჯოს წითელ არმიას—სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას!

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისათვის—

წარმაგებით დავამთავროთ საშემოდგომო თესვა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები ახალი წარმატებებით ხვდებიან. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უხვი სამხედრო მოსავალი მიიღეს და მზარდ დახმარებას უწევენ გმირ წითელ არმიას, რომელიც ამხანაგ **სტალინის** გენიალური მხედართმთავრობით დასავლეთისაკენ მიერეკება და სპობს ვერაგ მტერს — გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისათვის ნათქვამია: „კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო და მუშა ქალებო! მიეცით ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი და ნედლეული მრეწველობისათვის. მიაღწიეთ საქონლის სულადობის შემდგომ ზრდას და მისი პროდუქტიულობის გადიდებას! მთელი ძალები ფრონტის დასახმარებლად, მტრის გასანადგურებლად!“. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები უპასუხებენ ახალი საწარმოო აღმავლობით. წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პირნათლად იხდიან თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე და დაუღალავად მუშაობენ, რათა მტკიცე საძირკველი ჩაუყარონ მომავალი წლის მაღალ მოსავალს.

ამოცანა ის არის, **რომ ჩვენს** ქვეყანასა და ფრონტს მივცეთ სულ უფრო და უფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის. 1944 წელს უხვი მოსავალი უნდა მივიღოთ. საშემოდგომო თესვის კარგად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე დამოკიდებულია მომავალ წელს უხვი მოსავლის მიღება. იქ, სადაც ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საშემოდგომო კულტურების თესვას, კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. ახალქალაქის, ასპინძის, სამტრედიის, ჭიათურის, საჩხერის, ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეობებმა დროულად დასთესეს საშემოდგომო მარცვლეული კულტურები. ჩქარი ტემპებით სთესავს ხაშურის რაიონი. მოწინავე კოლმეურნეობები პირნათლად იხდიან თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას სამშობლოსა და ფრონტის წინაშე. საქართველოში ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომლებმაც შეასრულეს თესვის სახელმწიფო გეგმა და გეგმის გადამეტებით სთესავენ თავდაცვის ჰექტარებს. მოწინავეთა ეს პატრიოტული ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია. საილუსტრაციოდ დავასახელებთ თელავის რაიონის კოლმეურნეობა „საამურ ცხოვრებას“, რომელმაც გეგმის გადამეტებით 10 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები დასთესა.

საქართველოში 1 ნოემბრისათვის დათესილი იყო 64.037 ჰექტარით მეტი საშემოდგომო მარცვლეული კულტურები, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ზოგიერთი რაიონი და კოლმეურნეობა ჯერ კიდევ ნელი ტემპებით სთესავს, ზოგან ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი პირობები თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის. საშემოდგომო მარცვლეულის თესვაში მკვეთრად ჩამორჩნენ გურჯაანის, სიღნაღის და წითელწყაროს რაიონები. საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმების შესრულებაში სერიოზული ამოცანები აკისრიათ მტს-ებს. მაგრამ ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელ მუშაკებს ყველაფერი არ გაუკეთებიათ ტრაქტორების მაღალნაყოფიერი მუშობისათვის. წითელწყაროსა და შირაქის მტს-ებში ადგილი აქვს ტრაქტორების მოცდენას. ახლა, როდესაც თითოეული დღე, თითოეული საათი ძვირფასია საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმების შესრულებისათვის, ტრაქტორის მოცდენა შეუწყნარებელია. ნელი ტემპებით მიმდინარეობს თესვა ბორჯომის რაიონსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა მუშაკებმა შექმნილი მდგომარეობიდან ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ და გადამჭრელი ზომები მიიღონ თესვის სახელმწიფო გეგმების უახლოეს დღეებში მთლიანად შესრულებისათვის. საჭიროა უზრუნველყოთ ტრაქტორების მაღალნაყოფიერი მუშაობა, მუშა-საქონლის მაქსიმალურად გამოყენება და ძალთა სწორი განაწილებით თესვის სწრაფად დამთავრება. წითელწყაროს რაიონის სოფ. მირზაანის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად 25 ოქტომბერს 4 გუთნეული მოაცდინეს. ეს დანაშაულია. შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით და მთელი არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით უნდა მივაღწიოთ თესვის გეგმების მთლიანად შესრულებას. გეგმის შესრულება არ არსებობს ხარისხის გარეშე. გაძლიერებულ ტემპებთან ერთად საშემოდგომო თესვა უნდა დავამთავროთ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე.

დავრაზმოთ მთელი ძალები საშემოდგომო თესვის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს ვუპასუხოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდით, ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებით.

ᲓᲔᲙᲝᲜᲐ

ᲗᲝᲜᲘᲠᲐᲜᲘᲫᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ

Ვ. მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲡ

ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲩᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის მიწა-წყალს, გთხოვთ ნება მიბოძოთ კვლავ მოგახსენოთ ჩემი გულწრფელი აღტაცება იმ უანარიანობისა და თანამშრომლობის სულისკვეთების გამო, რომლითაც თქვენ ხელმძღვანელობდით ჩვენს ნაყოფიერ ლონისძიებებს კონფერენციაზე. იმავე დროს ვბედავ გთხოვოთ თქვენ, რათა კეთილინებთონ და გადასცეთ მარშალ სტალინს, რომ გულწრფელ მადლობას ვუძღვნი მრავალი თავაზიანობისათვის, რაც საბჭოთა მთავრობამ და ხალხმა გამოიჩინა ჩემდამი და ამერიკის დელეგაციის წევრებისადმი მოსკოვში ჩვენი ყოფნის დროს. ჩვენი დარბაზობა არა შეიძლება ყოფილიყო უფრო სასიამოვნო და საინტერესო.

კორდელ ჰელი.

ᲓᲔᲙᲝᲜᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝᲓᲐᲜ

ბ-ნ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲡ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ვტოვებ რა სსრ კავშირს, მსურს კვლავ მოგახსენოთ თქვენ მადლობა მრავალი თავაზიანობისათვის, რაც თქვენ ჩემდამი გამოიჩინეთ მოსკოვში ჩემი ყოფნის დროს. ჩვენი შეხვედრა მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩემთვის არა შარტო იმის გამო, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, არამედ აგრეთვე იმის გამო, რომ მე განვაახლე ჩემი მეგობრული ურთიერთობა მრავალ პირთან.

სამხრეთისაკენ მიმავალმა მე გადავიფრინე სტალინგრადზე და ჩემი საკუთარი თვალით ვნახე ნანგრევები გმირი ქალაქისა, რომელიც ახლა ლეგენდას წარმოადგენს თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხისათვის. დე მომავალში ჩვენი შრომა შთაგონებული იყოს ამ მსხვერპლით.

დარწმუნებული ვარ, რომ მუშაობაზე, რაც ჩვენ სამმა შეგასრულეთ მოსკოვში, მტკიცე და ხანგრძლივი საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ხალხების მეგობრობასა და ამხანაგურ ურთიერთობას.

ყოველივე კეთილს გისურვებთ თქვენ და თქვენს ქვეყანას.

ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲘᲓᲔᲜᲘ.

ᲙᲝᲠᲓᲔᲚ ᲰᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲘᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა კორდელ ჰელმა მოსკოვიდან გამგზავრების წინ შემდეგი განცხადება გააკეთა ეროდორომზე:

„მინდა რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვა საბჭოთა კავშირის ოფიციალურ პიროვნებებსა და ხალხს. სიტყვა არა მყოფნის, რომ მადლობა გამოვთქვა შესანიშნავი სტუმართმოყვარეობისათვის, კეთილი ნებისა და მეგობრობის გრძნობისათვის, რაც ამ დიდი ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა და ხალხმა გაიჩინეს ჩემსა და ჩემი თანამშრომლების მიმართ ამ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ აქ ვიმყოფებით. ეს საერთაშორისო კონფერენცია მოწმობს არა მარტო დიდ შესაძლებლობებს, არამედ დიდ მოსალოდნელობასა და რეალობასაც მომავლის უფართოესი გეგმების მხრივ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კონფერენციის შედეგები უფრო ნათელი გახდება დროთა განმავლობაში და იმის კვალობაზე, თუ რამდენად მოგვეცემა შესაძლებლობა განვახორციელოთ ის, რაც აქ გადაწყდა. მსურს კვლავ გამოვთქვა მადლობა ყველას მიმართ, ვინც ხელი შეუწყო ჩვენი აქ ყოფნის, მოხერხებულობასა და წარმატებას“.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ანტონი იდენმა მოსკოვიდან გამგზავრების წინ სთქვა:

„უაღრესად მადლობელი ვართ იმ სტუმართმოყვარეობისა და გულკეთილობისათვის, რომლითაც ჩვენ შეგვეგებნენ მოსკოვში. ჩვენ ყველანი ბედნიერნი ვართ ჩვენი მუშაობის შედეგებით. სანამ ჩვენ სამნი ერთად ვართ, არაფერია ისეთი, რის განხორციელებაც ჩვენ არ შეგვეძლოს. თუ ჩვენ ერთად არ ვიქნებით, მაშინ არაფერი იქნება ისეთი, რის განხორციელებასაც ჩვენ შეეძლებთ. ჩვენ ვტოვებთ მოსკოვს ბედნიერნი იმით, რომ ერთმანეთისა უკეთ გვესმის, ვიდრე ოდესმე უწინ“.

ბ-ნ კორდელ ჰელისა და ბ-ნ ანტონი იდენის განცხადებანი ჩაწერილია კინოაფსკზე. (საკდესი).

ᲣᲤᲠᲝᲡ ᲚᲔᲘᲯᲔᲜᲐᲜᲢᲘ Ს. Ი. ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲐ

მდინარე **დნეპრის** გადალახვისას სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის გვარდიელი, სერჟანტი და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **ლენინის** ორდენით დაჯილდოებულია უფროსი ლეიტენანტი სულხან ივანეს-ძე **ვაჩნაძე.**

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲓᲔᲯᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

შეიარაღების მრეწველობის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაოქტომბრო სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდი შედეგები მოგვცა. ოქტომბერში სექტემბერთან შედარებით პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გადიდდა. შეიარაღების სახალხო კომისარიატის ქარხნებმა გადაჭარბებით შეასრულეს არტილერიის, სასროლო იარაღის, ვაზნების, სამხედრო ხელსაწყოს წარმოების საგეგმო დავალებანი.

მთლიანად სახალხო კომისარიატს გადაჭარბებით აქვს შესრულებული პროგრამა ყველა სახის პროდუქციის ხაზით. მთავარი სარდლობის განსაკუთრებულ ფონდში გადაცემულია ძალა საბრძოლო იარაღი გეგმის გადამეტებით. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

5 ნოემბრის განმავლობაში დნეპრის ლიმანსა და შავი ზღვის სანაპიროს შუა მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. დაიკავეს რა დასახლებული პუნქტები პროგნოი, პოკროვკა, პოკროვსკიე ხუტორი და ფორშტადტი, საბჭოთა ჯარებმა მთლიანად გასწმინდეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ნახევარკუნძულის ტერიტორია დნეპრის ლიმანის სამხრეთით. ჩვენმა მოძრავმა ნაწილებმა ლიკვიდაცია უყვეს მოწინააღმდეგის დაქსაქსულ ჯგუფებს. მარტო ერთ უბანზე 5 ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს 1.200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები. ხელთ ვიგდეთ ბევრი იარაღი, დიდი საწყობი საწვავიანად, 500 საზიდარი, 1.500 ცხენი და სხვა დავლა.

* * *

კიევის რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. 5 შენაერთის ნაწილებმა სძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, ზედიზედ გაარღვიეს გერმანელთა ორი თავდაცვითი ზოლი და დაიკავეს მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტები. განადგურებულია მოწინააღმდეგის დიდი ძალები. ჩვენმა ჯარებმა განავითარეს წარმატება და იერიშით დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი სვიატოშინო და, ამრიგად, გადასწრეს კიევ-უიტომირის გზატკეცილი და კიევ-კოროსტენის რკინიგზა. მტერი გაშმაგებით ცდილობს შეიჩეროს საბჭოთა ნაწილების წინსვლა. სასწრაფოდ მოჰყავს ქვეითი ჯარის, ტანკების რეზერვები, გზიდანვე გამოჰყავს ისინი ბრძოლაში. ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში ნოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. მოსპობილია 3.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 38 ტანკი, ათობით ქვემეხი და ბევრი ავტომანქანა. 5 შენაერთის ნაწილებმა ერთ უბანზე ხელთ იგდეს 5 თვითმავალი და 40 საველე ქვემეხი, 72 ნაღმსატყორცნი, აქედან 6 ექვსლულიანი, 140 ტყვიამფრქვევი, 9 დიდი საწყობი და სხვა დავლა.

* * *

ნეველის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილები ეწეოდნენ აგდილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. დღის განმავლობაში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 3 თვითმავალი და 20 საველე ქვემეხი. ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგე კონტრიერიშებზე გადმოდიოდა, მაგრამ უკუგდებულ იქნა და ამასთან დიდი ზარალი მოუვიდა. 5 ნაწილის შენაერთები მარჯვე მანევრით გარშემორტყნენ მტრის დასაყრდენ პუნქტ ერმოშინოს. გააფთრებული ბრძოლის შედეგად გერმანელთა გარნიზონი მთლიანად მოსპობილია. ხელთ ვიგდეთ 11 ქვემეხი, საომარი მასალების საწყობი, 2 ნივთსაწყობი და სხვა დავლა.

* * *

ბალტიის ზღვაში ჩაძირულია გერმანელთა ტრანსპორტი 5.000 ტონა წყალწყვისა, მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი და ბუქსირი.

2 ნოემბერს მტერი თავს დაესხა ჩვენს საკატერო ტრალერებს, რომლებიც ნარვის ყურეში საბრძოლო დავალებას ასრულებდნენ. გერმანელთა 8 ტრალერმა არტილერიის სროლა აუტეხა ჩვენს კატერებს. ამ დროს მიუსწრეს საბჭოთა საკორპეთო კატერებმა, რომლებმაც ჩასძირეს გერმანელთა 5 ტრალერი. მოწინააღმდეგის 2 ტრალერი დაზიანებულია. ამგვარად, მოწინააღმდეგის ხომალდების რაზმი, რომელიც 8 ტრალერისაგან შესდგებოდა, მთლიანად იქნა განადგურებული.

* * *

ლატვიის პარტიზანულმა რაზმმა ოქტომბრის თხუთმეტი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 4 სამხედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. მარცხის შედეგად დამტვრეულია 32 ვაგონი სამხედრო ტვირთითაც. მთელ რიგ ადგილებში პარტიზანებმა დაანგრიეს რკინიგზის ლიანდაგი. მატარებელთა მოძრაობა გზის ამ უბანზე დიდი ხნით არის შეწყვეტილი. პარტიზანთა ჯგუფმა შეაღწია დიდ ქალაქში და ციცხლი წაუკიდა გერმანელთა बენზინის საწყობს.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა მე-3 სამთო-მსროლელი დივიზიის 144-ე პოლკის ობერ-ეფრეიტორმა ავსტრიელმა ედუარდ მ-მა განაცხადა: „ავსტრია სავსეა გერმანიის იმ რაიონებიდან ჩამოსული გერმანელებით, რომლებიც დაბომბვას განიცდიან. გერმანელი ლტოლვილები ავსტრიას თავიანთ ბომბსაფარს უწოდებენ. ერთი თვის წინათ მე ვიყავი საშობლაში. ყველგან გულგატეხილობის განწყობილება სუფევს. ათასობით ავსტრიელი დედა გლოვობს ფრონტზე დაღუპულ თავის შვილებს და სწყევლის ჰიტლერს. პატარა ქალაქ ოსტვალდში ამს წინათ გიმნაზია წირავა სტალინგრადთან მოკლული 40 ადგილობრივი მცხოვრების ხსოვნის აღსანიშნავად. სულ უკანასკნელ ხანს სამგლოვიაროდ უწყებათა ახალი ნაკადი დაიძრა. სოფელ სანდელში 42 ოჯახმა მიიღო უწყება, რომ მათი ნათესავები დაიღუპნენ ორიოლისა და ბელგოროდის რაიონში. მე საუბარი მომიხდა ერთ-ერთ ჩემს მეგობარ არქიტექტორთან. მან განაცხადა: „1938 წელს ავსტრიელთა მცირე ჯგუფი, რომლებმაც უღალატეს თავის სამშობლოს და ნაცისტთა მხარეზე გადავიდნენ, ყველა გზაჯვარედინზე გაიძახოდა: „ავსტრიელი ჰიტლერი 70 მილიონ პრუსიელს განაგებს“. ახლა მილიონობით ავსტრიელები ამბობენ: „პრუსაკების დაყენებულმა არამზადა ჰიტლერმა ავსტრია დაიმონა და სპობს ავსტრიელებს“. ყველანი, ვისთანაც კი ლაპარაკი მქონდა, მოუთმენლად ელიან ჰიტლერული რეჟიმის დამხობას“.

* * *

სმოლენსკის ოლქის დაბა ხისლავიჩის ბეტონიერებლებმა ილაპარაკეს სისხლისმღვრელ მზეცობაზე, რასაც გერმანელი ფაშისტი ამზადებდა სრადიოდნენ: „ხისლავიჩში ყოფნის პირველიდან სულ უკანასკნელ დღემდე ჰიტლერელები აბუჩად იგდებდნენ მოსახლეობას, ძარცვავდნენ და ჰკლავდნენ საბჭოთა მოქალაქეებს. 1941 წლის ოქტომბერში გერმანელებმა მტს-ში მირეკეს 150 მეხოვრები, ციხეთმდა კრებაზე და დახვრიტეს. ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკი მოაწყეს სამოქალაქო მოსახლეობისათვის. შარშან აპრილში გერმანელმა ჯალათებმა პატიმართა ელეტა მოაწყეს. ერთ ღამეს ფაშისტმა მზეცებმა 800-ზე მეტი კაცი მოჰკლეს. შემთხვევით გადარჩენილი 10 წლის ბიჭი და 12 წლის გოგონა საღამამდე გვამებს შორის იყვნენ, შემდეგ კი დაბისაკენ გაბოხდნენ. ისინი ღონემიხდილნი და დამზრალნი გერმანელთა პატრულს ჩაუვარდნენ ხელში და მოჰკლა რაიონის უფროსმა გერმანელმა ჯალათმა შვანდემ. მოკლული საბჭოთა მოქალაქეების მთელი ქონება დაიტაცეს ჰიტლერელებმა. მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივ დახოცვას ხგლმძღვანელობდნენ დაბის გერმანელი კომენდანტი დოლერმანი, მისი მოადგილე მაისი და რაიონის უფროსი შვარდე“.

ᲐᲕᲔᲠᲔᲚ ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ა. შ. შტატების ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა ვ. ა. ჰარიმანმა შემდეგი განცხადება გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს სამი მინისტრის მოსკოვში შემდგარი კონფერენციის შედეგების გამო:

„მე მინდოდა დამეწყო იმით, რომ მუდამ ვიყავი თანმიმდევარი ოპტიმისტი სსრ კავშირთან ჩვენი ურთიერთობის განვითარების საკითხში. მე მოველოდი, რომ კონფერენცია წარმატებითი იქნებოდა, მაგრამ ღრმად ვარ დაკმაყოფილებული იმით, რომ შეთანხმება მიღწეულია ესოდენ ბევრ საკითხზე და ასეთი სისწრაფით.

კონფერენციამ დააყენა მთელი რიგი საკითხები. რომლებზეც, როგორც გადაწყდა, განგრძობილ იქნება დისკუსია ჩვენსა, ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

მე გავაკეთე განცხადება მოსკოვში სამხედრო მისიის ორგანიზაციის გამო. ეფიქრობ, რომ იგი განმარტავს, თუ როგორ ვიმოქმედებთ ჩვენ სამხედრო პრობლემებისა და მოგარაგების პრობლემების მხრივ გაერთიანებულ საომარ ღონისძიებათა განხორციელებასა.

გარდა ამისა, კონფერენციაზე, რა თქმა უნდა, განხილულ იქნა ბევრი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხი. ზოგიერთი მათგანი განხილული იქნება განხილვაში სამი მხარის მონაწილეობის პრინციპის საფუძველზე, ან, კონფერენციის კომუნიკის სიტყვებით თუ ვიტყვით, „საჭიროების მიხედვით სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონსულტაციების განგრძობით არსებული დიპლომატიური არხების საშუალებით სათანადო დიპლომატებში“. ეს ნიშნავს, რომ ამ საკითხებზე მე ვიმუშავებ ბ-ნ მოლოტოვთან და სერ არჩიბალდ კლარკ კერთან მჭიდრო კონტაქტით.

კონფერენციაზე მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებაც ჩვენი აზრები საკმაოდ ნათელი არ იყო. ამ დისკუსიამ ხელი შეუწყო ჩვენს თვალსაზრისთა ნათელყოფას. ყოველივე ეს ღრმა მხნეობას ვგინერგავს.

ზოგიერთი საკითხი სასწრაფო და დიდი მნიშვნელობის საკითხებია, ზოგი ომისშემდგომ პერიოდს შეეხება. უკანასკნელთა შორის არის ასეთი საკითხები, რომლებიც განხილულ უნდა იქნას უახლოეს მომავალში, მაშინ როდესაც დასაბრუნებელი უფრო შორეული მომავლის გეგმებს შეეხებიან.

ამ საკითხებს ხელს უნდა ვკიდებდეთ მათი მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მიხედვით და უნდა ვითვალისწინებდეთ ომის უშუალო მოთხოვნებს. ომთან დაკავშირებული საკითხები პირველ პლანზე დგას და ყველაფერი, რასაც ახლა ვაკეთებთ, მიმართული უნდა იყოს საბოლოო გამარჯვების დღის მოახლოებისაკენ.

როგორც კონფერენციის კომუნიკედან იცით, სამი სახელმწიფო შეთანხმდა ერთობლივად იმუშაონ იმისათვის, რომ გაათავისუფლონ თავიანთი ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობა.

საკითხი, რომელიც, როგორც მე ვფიქრობ, ყველაზე უფრო დიდი ყურადღების ღირსია ამჟამად,—ეს არის საკითხი იმ დახმარებისა, რომლის გაწევაც შეუძლიათ ამერიკის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირისათვის ოხრებული რაიონების აღდგენასა და ომით გამოწვეული სხვა ზარალის ლიკვიდაციაში. აქაც კვლავ უპირატესობა უნდა მიეცეს ომის საჭიროებებს ამერიკის სამრეწველო სიმძლავრისა და სავაჭრო ფლოტის გამოყენებაში, მაგრამ არის ერთი საქმე, რომლის შესრულებაც ჩვენ ახლა შეგვიძლია ისე, რომ ხელი არ შევუშალოთ სამხედრო წარმოებას. ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ პროგრამების, გეგმებისა და დაწვრილებითი პროექტების განვითარებაზე, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებენ ამ ვადებს, როცა შეიძლება მზად იყოს მოწყობილობა, რომელსაც ა. შ. შტატებისაგან მოითხოვენ.

ამერიკელი ხალხი ულრმესად თანაუგრძნობს რუს ხალხს, რომელმაც ესოდენ ბევრი გადაიტანა, და ამერიკელებს სულით და გულით სურთ აღმოუჩინონ რუსებს რაც შეიძლება მეტი დახმარება. ჩვენმა ქარხნებმა უნდა ამზადონ საბჭოთა კავშირისათვის საჭირო მანქანები და მოწყობილობა, და მის შესრულებით ჩვენ დავეხმარებით ჩვენს საკუთარ ხალხს ომიდან გადავიდეს მშვიდობიან წარმოებაზე.

ეი ზოგიერთი იმ პრობლემათაგანი რომლებზეც ვიმუშავებთ მე და საელჩოს შტატი“.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას წითელი არმიის ზაფხულის კამპანიის შედეგების შესახებ. უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ განაცხადა: საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა წითელი არმიის ზაფხულის კამპანიის შედეგებზე უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელში და სტუდენტებში იწვევს არა მარტო ყველასათვის გასაგებ დიდ სიხარულს და სიამაყეს, არამედ კიდევ უფრო ღრმა შეგნებას იმისას, რომ თითოეული ჩვენგანი მოვალეა გაორკეცებული ენერგიით იმუშაოს, რათა ჩვენს დიდ სამშობლოს მოუმზადოს მაღალხარისხოვანი კადრები, რომელნიც ქვეყნის წინაშე დასმულ ამოცანათა სიმაღლეზე იქნებიან.

— ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის. — ისე როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალი და სტუდენტობა,—სთქვა ამავე ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ი. ვეკუამ,—განსაკუთრებული სიხარულით და აღფრთოვანებით გაეცნო დიდი მნიშვნელობის დოკუმენტს წითელი არმიის ზაფხულის კამპანიის შედეგების შესახებ. ამ დოკუმენტში აღბეჭდილია ის გრანდიოზული გამარჯვებანი, რომლებსაც მიაღწია წითელმა არმიამ დიდი ბელადის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის გენიალური მხედართმთავრობით. ჩვენი ფაკულტეტის მასწავლებლები და სტუდენტობა ყოველგვარ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ გაათუჯობესონ თავიანთი მუშაობა, მიაღწიონ აკადემიურ წარმატებათა კიდევ უფრო მაღალ დონეს, მზარდი დახმარება გაუწიონ საყვარელ სამშობლოს მტერზე გამარჯვებაში.

წითელი არმიის ზაფხულის კამპანიის შედეგებს გაცნობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მთელმა რიგმა პროფესორებმა, დოცენტებმა და სტუდენტებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი მუშაობის შემდგომი გაუჯობესებისათვის. იურიდიული ფაკულტეტის დოცენტმა ი. მრევლიშვილმა აკისრა: უფრო მეტი მონდომებით და ენერგიით დაეხმაროს სტუდენტებს ინდივიდუალური მუშაობის ორგანიზაციაში.

ახალი ვალდებულებები აკისრეს აგრეთვე ფილოლოგიური ფაკულტეტის ფრაადოსანმა სტუდენტებმა ზეინაბ არეშიძემ, ნათელა ნადარეიშვილმა და სხვ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

გუშინ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის აგიტატორებმა ამხ. არუმოვმა, მანაგამენი, სკვალოვმა, ასტოფიევმა, ჯილავდრიშვილმა, ტრაუკლიცმა და სხვებმა შესვენების დროს მუშებს წაუკითხეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობის ტექსტი წითელი არმიის ზაფხულის კამპანიის შედეგების შესახებ.

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ქარხნის კოლექტივი ამ სასიხარულო ცნობას. წითელი არმიის მიერ მთავარსარდლობის ოპერატიულ-სტრატეგიული გეგმის წარმატებით შესრულების პასუხად, მუშებმა ახალი საბრძოლო ვალდებულებები აკისრეს. მთავარი მექანიკური საამქროს სტახანოველმა შათირიშვილმა ვალდებულება აიღო ყოველდღიური დავალება 150 პროცენტით შეასრულოს. ამავე საამქროს სტახანოველმა მეცაცხლურმა გორგაძემ ვალდებულება აკისრა გეგმა სისტემატურად გადაჭარბებით შეასრულოს და საგრძნობი ეკონომია

ისტორიული ბრძოლების ადგილებში

სტალინგრადი დღეს

დილაობით ქალაქს საყვირები აღვიძებს. სადგურიდან გადის მუშათა მატარებლები, მოასფალტებული მაგისტრალებით მიჰქრიან ავტობუსები, სატვირთო მანქანები, ტროტუარებით მიიჩქარიან ქვეითები. ვოლგის სივრცეებს სამდინარეო ტრამვაები სერავენ.

ასეთია სტალინგრადი ამა წლის ოქტომბერში. ქალაქი—გმირი, ფაშისტი ბარბაროსების მიერ დანგრეული, ფერფლსა და ნანგრევებს იშორებს და ფეხზე დგება. ადამიანებმა მის ნანგრევებზე ფიცი დასდეს—კიდევ უფრო დიდებული ქალაქი შეჰქმნან. შეუპოვრობითა და თავდადებით, ნამდვილი შთაგონებით ეწევიან ისინი მკვდარი მიწის გარდაქმნას. განთქმული მამაის ყორღანი, რომლის ძირთან იდგა ქარხანა „წითელი ოქტომბრის“ საამქროები, და მუშათა სახლები, სულ ერთიანად ნანგრევებად ქცეულნი, კვლავ ცოცხლდება. აღორძინების მხურვალე მგზნებარებით აღფრთოვანებულმა წითელოქტომბრელებმა ისწავლეს ოთხბინიანი სახლების კედლების 20-30 საათში ამოყვანა.

ურყევი ენერგია ახასიათებს ყველა სტალინგრადელს—ძველ მცხოვრებთ და ახალ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოსულან დიდი ქალაქის შშენებლობაზე. საოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან კალატოზები—ლიდა ბობკინა, მართა საგაიდაკი, ნიკოლოს ვინკოვი. ოვინე თევდორეს-ძე ტიულენცევი ერთ ცვლაში ამათქაშებს 20 კვადრატულ მეტრს—ჩვეულებრივზე ერთიოთხად მეტს. მუშათა დების 25 სახლი დახურა წარჩინებულმა სტახანოველმა ივანე აკიმის-ძე კამინინმა, დაჯილდოებულმა მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „სტალინგრადის დაცვისათვის“.

სატრაქტორო-საქარხნო, საბარიკადო, ძერჟინსკის, ვოროშილოვსკის და სხვა რაიონებში უკვე გაყვანილია ელექტროგამშუქებელი ხაზები, გაყვანილია წყალსადენის მაგისტრალი, რგავენ ხეებს. დღეს სტალინგრადში პოპულარული გახდა სიტყვა „ნოვოსელიე“ („ახალბინადრობა“). ათასობით მშენებელნი, რომლებიც გაზაფხულზე და ზაფხულში ტილოს კარვებსა და ბლინდაჟებში ცხოვრობდნენ, ახლადგებულ შენობებში გადადიან. ფრონტელთა 9.000 ოჯახი უზრუნველყოფილია ბინით.

ვოლგის სანაპიროზე სდგას გმირული შრომა, რომელიც სცვლის ჭრილობებით დასერილი სახელოვანი ქალაქის სახეს. უკვე აღდგენილია და ახლადაგებულია 8.000 საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო დაწესებულებათა ასობით შენობა. მშენებლობაში უდიდესი როლი შეასრულეს მოხალისეებმა, რომელთა მოძრაობასაც დასაბამი მისცა ალექსანდრა მაქსიმეს-ასულმა ჩერკასოვამ, დაჯილდოებულმა მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“. მოხალისეთა ბრიგადებმა, რომლებიც 15.000-ზე მეტ კაცს აერთიანებენ, ძირითად სამუშაოსაგან თავისუფალ დროს შეაკეთეს და აღადგინეს 300 საცხოვრებელი სახლი, სკოლები, საბავშვო, სამკურნალო და კულტურული დაწესებულებანი და სამრეწველო საწარმოები. ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ფერშალი მარიამ ფილიპეს-ასული სანველოვა, არასამუშაო საათებში შეაკეთა საავადმყოფო, საექიმო კაბინეტები და საბავშვო კონსულტაცია, სწრაფი დახმარების მანქანების გარაჟი, ექიმთა 8 ბინა. მხოლოდ თავიანთი მშობლიური ქალაქისადმი მგზნებარე სიყვარულმა შეასრულებინა 11 სამედიცინო მუშაკ-პატრიოტ ქალს ასეთი უზარმაზარი სამუშაო. ჩერკასოვისა და სანველოვის მსგავსი ბრიგადები სტალინგრადში ასობითაა.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით ემზადებიან სტალინგრადელები ოქტომბრის დღესასწაულებისათვის. შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა რაიონი და საწარმო. დიდი დღესასწაულისათვის წითელოქტომბრელები საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახლადაგებულ 15.000 კვადრატულ მეტრ საბინაო ფართობს, კლუბს, სასადილოს, სკოლას, 4 სამკურნალო დაწესებულებას, წყალსადენს. შრომითი აღფრთოვანება სასწაულებს ახდენს და წარმოშობს ზურგის გვარდიელებს—ისეთებს, როგორიც არის დურგალი ბორის კონდრატის-ძე ნეჩუნაევი, რომელმაც ერთიოიცად გადაამეტა ცვლის ნორმას; როგორიც არის ახალგაზრდა კალატოზი ივანე სმოლიანინოვი, რომელმაც რვა დღეში 83.250 აგური დაიგო. ის რვა კაცის მაგივრად მუშაობდა და ორი სახლის კედლები ამოიყვანა. ბაშკირელი ქალიშვილი ლუბა ჩიგვინცევა მოკლე ხანში დაეუფლა მჭედლის სპეციალობას და პირველმა მიიღო ნიშანი „სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული“. ასეთი საუცხოო ადამიანები სტალინგრადში ათასობით არიან. ისინი ამაყობენ, რომ მათ წილად ხვდათ პატივი—იცხოვრონ და იმუშაონ იმ ქალაქში, რომელიც საბჭოთა იარაღის დიდების სიმბოლო გახდა.

ნ. მახარინეცი

სტალინგრადი. (საკდესი).

საქართველოს საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

საქართველოს საკონსერვო მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიმდინარე წელს დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს — 1943 წლის 10 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და ქვეყანას და ფრონტს გეგმის გადამეტებით მისცეს 4.200.000 ქილა კონსერვი, 520 ტონა კონცენტრატი, 96 ტონა ხალვა და 1.500 ტონაზე მეტი ბოსტნეული, გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე სპეციალკვეთების გეგმა.

1943 წლის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა საქართველოს საკონსერვო მრეწველობის მოწინავე მუშაკები დაჯილდოვა „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნებით და ქების ფურცლებით. სულ დაჯილდოებულია 92 კაცი, მათ შორის „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნით — 57.

4 ნოემბერს მოხდა ჯილდოების გადაცემა, რასაც ესწრებოდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. კ. ბარიგიანი, საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზ. კეცხოველი და საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ი. წიკლაური.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სახელით საქართველოს საკონსერვო ტრესტის მმართველმა ამხ. ა. ავალოვმა გადასცა ჯილდოები. „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნები გადაეცათ ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მეცეცხლურს ვ. სიხარულიძეს, გორის საკონსერვო ქარხნის მექანიკოსს ვ. ურიგაშვილს, სამტრედიის საკონსერვო კომბინატის ცვლის ინჟინერს ს. წიფწიფაძეს, გორის საკონსერვო ქარხნის მუშა ქალს ს. იჩქითს, გორის დამამზადებელი კანტორის სპეციალისტს გ. კოკელიძეს, სამხრეთ-ოსეთის დამამზადებელი კანტორის მმართველს ლ. კეცხოველს, გულრიფშის საბჭოთა მეურნეობა „ილიჩის“ აგრონომს მ. კვარაცხელიას და სხვებს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოსთქვეს სოხუმის საკონსერვო ქარხნის დირექტორმა ს. ბეგნიამ, გორის საკონსერვო ქარხნის ინჟინერმა ნ. ღინინაშვილმა, ქუთაისის სელექციური სადგურის დირექტორმა ი. გიორგბერიძემ და საქართველოს საკონსერვო ტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილემ კ. ლომიამ მადლი ჯილდოს პასუხად მათ იკისრეს კიდევ მეტი თავდადებით იმუშაონ, 1943 წლის დავალებები ვადაზე ადრე შეასრულონ, ფრონტსა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ათასობით სმოლენსკელი კოლმეურნე ახალ სახლებში ბინავდება

ჰიტლერელმა ოკუპანტებმა კოლმეურნეთა ათიათასობით სახლი დაწვეს და გაანადგურეს სმოლენსკის ოლქში. ასობით დასახლებული პუნქტი აღგვილია პირისაგან მიწისა.

განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეები გერმანელთა განდევნის პირველი დღიდანვე ენერგიულად შეუდგნენ შშენებლობას. მათ აღადგინეს და ხელახლა ააგეს 22.451 სახლი. 104 ათასზე მეტი კაცი ჩახახლდა ახალ ბინებში მიწურებიდან და დანგრეული სახლებიდან. ხელახლა გაშენდა 7 სოფელი კოზელსკის რაიონში. იზდებულ-ვოს რაიონში სამ თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში კოლმეურნეებმა 1.626 სახლი ააგეს და აღადგინეს.

სასიხარულო თარიღს — ოქტომბრის 26-ე წლისთავს სმოლენსკის ათასობით კოლმეურნეთა ოჯახები, რომლებმაც საშინელი გაჭირვება გადაიტანეს ფაშისტური ოკუპაციის დღეებში, ახალ სახლებში შეეგებებიან (საკდესი).

სტალინგრადი დღეს. სარეკორდო მოკლე ვადაში აშენდა ვაგზლის ახალი დროებითი შენობა. სურათზე: სტალინგრადის ახალ ვაგზალთან.

ფოტო მ. კუნძიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მელიგოპოლიდან კახოვკამდე

ჩვენი გზა მელიტოპოლის დასავლეთით იწყება. დილის ნისლში ზორიდან მოსჩანს ქალაქის კონტურები. ქალაქში და ქალაქის თავზეც ამჟამად სიწყნარეა, არ ისმის ქვემეხთა წინანდელი გრიალი, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების დაუსრულებელი ჯერების ხმა. აქ უკვე ღრმა ზურგია. ფრონტის ხაზი შორს არის.

წინ განთავისუფლებული ზღვისპირის ზოლია. მანქანის მინებს იქით წამდაუწუმ ვხედავთ მწვანედ მობიბინე საშემოდგომო ნათესთა ზოლებს, სმინდის ყანებს. დასავლეთისაკენ ყოველ კილომეტრზე იცვლება სურათი. ადგილის მიხედვით ადვილად შეიძლება გავარკვიოთ, თუ რა ხდებოდა აქ სულ რამდენიმე დღის წინათ, სად როგორი და რა ხასიათის ბრძოლები მიმდინარეობდა.

აი გაფთრებული სატანკო ბრძოლების ადგილები. აქ ტანკისტებმა გაარღვიეს მტრის ზღუდეები მელიტოპოლის სიმაგრეების შემდეგ. აქ ყველაფერს სასტიკი ბრძოლების კვალი ანიკვეა. მინდორი გადაოხრილია ყუმბარებით, საშემოდგომო ნათესთა ჯეჯილზე სატანკო კოლონების გზებია გაყვანილი. მიწაში ღრმად ჩაქდობილი მუხლუხების კვლები სერავენ ერთმანეთს. აქ სატანკო ბრძოლა იყო. და, როგორც ამის დამადასტურებელი, ადგილზე მტრის რამდენიმე მანქანაა და მათ შორის „ფერდინანდები“ ქვემეხთა გრძელგრძელი ხორთუმებით. ისინი დაუმსჭვრეტია პირდაპირ მოხვედრილ ჩვენს ყუმბარებს. გზისპირა ნარგავებში, რომლებიც ამ დღეებში ბატარიების ცეცხლითი პოზიციები გახდა, ბოლოებად ყრია დაცლილი ჭილზები, გერმანელთა დამსხვრეული ზარბაზნები, ყუმბარების ყუთები. მტრის მიერ მიტოვებული მსუბუქი საჭურველი უკვე შეუგროვებიათ მედალი რაზმებს. აკრეფილია მოკლულ გერმანელთა მრავალი გვამიც.

სოფლები დალეწილი, დასახიჩრებულია. ქვეტყირის შენობები დაცხრილულია ყუმბარებით, ალაგ-ალაგ სავსებით დანგრეულია. ჩვენი მოწინავე ნაწილები შეტევის გზაზე რამდენიმე ზღუდეს შეხვდნენ და, უდიდეს სიძნელეთა მიუხედავად, ყოველთვის უკუაქცევდნენ მტერს სულ უფრო და უფრო შორს დასავლეთისაკენ.

ჩვენ გავიარეთ გერმანელთა სიმაგრეების ერთ-ერთი საშუალედო ხაზი, რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულა აქ სოფელი ბოგდანოვკა. იგი დიდი მაღლობის კალთაზეა გაშენებული. მის წინ აღმოსავლეთისაკენ დაბლობია. 10-20 კილომეტრზე კარგად შეიძლება მისთვის დაშენა. მაღლობიდან დურბინდით მშვენივრად სჩანს ყველაფერი, რაც ხდება სოფლის წინ. გერმანელებმა ამოთხარეს აქ უზარმაზარი ციცაბოკედლებიანი ტანკსაწინააღმდეგო თხრილი, შემოავლეს მას ეკლიანი მავთული. სოფელს იქით მაღლობებზე განალაგეს თავიანთი ცეცხლითი საშუალებანი. როცა საბჭოთა ჯარები ახლოვდებოდნენ, ფაშისტებმა მცხოვრებთა სახლები ააფეთქეს. კოლმეურნეები ცდილობენ ნანგრევებში იპოვონ თავიანთი დაღუპული ქონება.

ჩვენმა ჯარებმა ფლანგიდან შემოუარეს თხრილს და აიძულეს მტერი უკან დაეხია. აქედან ჩვენი გზა მიდის სამხრეთით ზღვისპირა ქალაქ გენიჩესკისაკენ. რაც უფრო ვუახლოვდებით ზღვას, მით უფრო მკვეთრად იცვლება ვითარება. სულ უფრო და უფრო ნაკლებია ნგრევა, მხოლოდ ხანდახან სჩანს ნაყუმბარევი, მტრის მიერ მიტოვებული სანგრები და სამგრეები. განიერი, პირდაპირი, ისარივით სწორი გზა გადის ნარგაგებშუა ხელოხლებელ სოფლებზე. ფაშისტებს აქ ვერ მოუსწრიათ სახლების, პურის ძნების დაწვა, მ'ზ'ედობიან მცხოვრებთა დახოცვა. ისინი თავისუფლებას გადარჩენას ცდილობდნენ. ჯავრი გენიჩესკზე იყარეს. ქალაქის ქუჩები დაფარიელებული და ჩამქადარია. ყველგან დანგრეული, დაწვული შენობებია. ათხრებისა და ნგრევის საშინელი სურათი! ხანძრის ცეცხლში და ნაღმების აფეთქებით დაიღუპა თითქმის უკლებლივ ყველა შენობა ვოსკრესენაიას, სობორნაიას და ნავსადგურის ქუჩებზე.

დასავლეთიდან განუწყვეტელ ნაკადად მოდის საზიდრები, რომლებშიც ძროხები შეუბამთ, ურიკები, რომლებსაც ძღვივს მოათრევენ ქალები, ბავშვები. ქალაქში ბრუნდებიან ისინი, ვინც მოახერხა ფაშისტური მონობისათვის დაეღწია თავი.

ნაენიე სერაგოზი სულ რამდენიმე დღეა, რაც განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან, მაგრამ აქ უკვე გაჩაღებულია საბჭოთა ცხოვრება. კოლმეურნეები გერმანელების მიერ ცეცხლწაკიდებულ მარცვლეულიდან ვარგისს არჩევენ. კავშირგაბმულობის მუშაკებს ტელეგრაფის ხაზი გა ჰყავთ.

გზა მიდის დასავლეთისაკენ, კახოვკისაკენ, დნეპრისაკენ. აი დამტვრეული გერმანული მსუბუქი მანქანა. გერმანელი ოფიცრები და მოფერი, რომელნიც ყუმბარის აფეთქებას მანქანის ძარიდან გამოსტყორცნია, ერთად ყრიან. ქარი ფანტავს წერილებს, ქაღალდის ფურცლებს, რუკებს, გერმანულ გაზეთებს. ცოტა იქით უძრავად დგას დაზიანებული გერმანელთა ტანკი.

წინ კახოვკაა. დნეპრიდან კახოვკის ირგვლივ მიდის ტანკსაწინააღმდეგო თხრილი, სანგრები, ალაგ-ალაგ მავთულღობურები. დნეპრს გაღმიდან ჩვენს შემტევ ნაწილებს განუწყვეტლივ უშენდნენ არტილერია და ნაღმსატყორცნები. ჩვენი ჯარების საბრძოლო წყებებს თავს დასტრიალებდა მტრის ავიაცია. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გაწევდა. უდიდესი ალფრთოვანება სუფევდა კახოვკისათვის მებრძოლ ნაწილებში. თითო-ეული მებრძოლსა და ოფიცერს თვალწინ ედგა სამოქალაქო ომის დღეებში კახოვკისათვის გადახდილი ბრძოლების გმირთა სახეები ახალგაზრდა მეომრები იმ მიწაზე ომობდნენ, სადაც თავდადებული გულადობით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ მათი მამები და ძმები.

ირიერაკა და დამთავრდა საარტილერიო ბომბადება. სამი მხრიდან წავიდნენ იერიშზე ჩვენი პოლკები. 6 ნაწილს მებრძოლნი პირველნი შეიჭრნენ ქალაქის დასავლეთ განაპირა უბანში. ამავე დროს კახოვკაზე იერიშში მიჰქონდათ ჩვენს ნაწილებს აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. მძაფრი და სწრაფი იყო ბრძოლა. გერმანელთა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. მტერმა იწყო საჩქაროდ უკან დახევა გადასასვლელისაკენ. დილის 9 საათისათვის მტერი გარეკილ იქნა კახოვკიდან დნეპრს გაღმა.

ჩვენ ქალაქს ვუახლოვდებით და მივდივართ იმ დასახლებულ პუნქტებზე, რომლებიც ეს არის აიღეს ჩვენმა ჯარებმა. კახოვკაში სიწყნარეა. ბრძოლა აქ ერთი საათისა-საათახევრის წინათ დამთავრდა. ქუჩებში სწრაფად მიდის მებრძოლ მეავტომატეთა ჯგუფი. ისინი დნეპრისაკენ მიეშურებიან. ახლებს სარდაფებიდან ფრთხილად ამოდიან კახოვკელები. ისინი გახარებულნი მეესალმებიან მებრძოლს.

სროლა ასტეხა ჩვენმა მძიმე არტილერიამ. დასავლეთისაკენ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჩიდის გერმანელთა ჯარების კოლონა. არტილერიას ნაბრძანები აქვს მოსპოს და გაჰფანტოს ისინი. არტილერისტები ბრძანებას ასრულებენ.

ჩვენ ქალაქს დილით ვტოვებთ. მისი განაპირა უბნებისაკენ უკვე მიემართება მანქანები, მებრძოლების, ტექნიკის ნაკადი.

უდიდესი სახელოვანი გზა გაიარეს ჩვენმა მეომრებმა მელიტოპოლიდან კახოვკამდე. ეს უმაგალითო საბრძოლო მარში შეასრულეს, ათასობით ადამიანი გაათავისუფლეს ჰიტლერული ტყვეობიდან, ასობით დაბა-სოფელი დაიცვეს მტრისაგან, გაათავისუფლეს მელიტოპოლშინა, ზღვის პირი, მოსპეს მრავალი ათასი გერმანელი. სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა მტრისაგან დნეპრის ქვემოწელის სრული გაწმენდისათვის.

ზ. აფანასიევი

მოქმედი არმია, 3 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორ.).

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

„ეცადე, რომ ფრიადზე ისწავლო, მე კი ვეცდები ფრიადზე ვიბრძოლო“

სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო გვარდიის გენერალ-მაიორმა კირილე კოჭოს-ძე ჯახუამ. 17 წელია, რაც იგი წითელი არმიის რიგებშია. 1933 წელს ამხ. ჯახუა გაიგზავნა

გვარდიის გენერალ-მაიორი კ. ჯახუა

შორეულ აღმოსავლეთში, სადაც 4 წელი დაჰყო. შორეული აღმოსავლეთიდან დაბრუნებისას მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაშია შევიდა.

ის იყო აკადემია დაამთავრა, რომ დაიწყო ომი თეთრფინელებთან. ამხ. ჯახუა უკვე მაიორი იყო. მაიორმა ჯახუამ ბრძოლის ველზე გამოიჩინა წითელი არმიის ნამდვილი ოფიცრის საბრძოლო უნარი და გამბედაობა. მისი პოლკი ერთი პირველთაგანი შეიჭრა ჭ. ვიბორგში. თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ამხ. კ. ჯახუა დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდან ამხ. ჯახუა ფრონტზეა და ანადგურებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოში გომელთან სასტიკი ბრძოლების დროს გამოიჩინეს თავი ჯახუას მებრძოლებმა. ამ ხანებში გენერალ-მაიორი ი. ბერეჭოვსკი სწერდა გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“:

„...14 აგვისტოს გერმანელებმა იერიშზე გამოიყვანეს მთელი თავისი ძალები. ექვს დღეს არც დღე, არც ღამე არ შესუსტებულა შეუპოვარი ბრძოლები. ამხანაგების ვორონინის, მანევიჩისა და ჯახუას ნაწილები, რომლებიც გაძლიერებული იყვნენ გომელის სახალხო ლაშქრით, გმირულად იცავდნენ ყოველ მეტრ საბჭოთა მიწა-წყალს... სოფ. პოკოლიუბიჩი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამხ. ჯახუას ნაწილმა სამჯერ კონტრიერიშით წართვა ეს სოფელი გერმანელებს და დიდი ზარალი მიაყენა ფაშისტთა ბატალიონებს“.

ამ ბრძოლებში ამხ. ჯახუა დაიჭრა, მაგრამ, განიკურნა თუ არა, კვლავ დაბრუნდა ბრძოლის ველზე.

ამხ. ჯახუა განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ. მისმა მებრძოლებმა მრავალი გამარჯვება მოიპოვეს. მომდინარე წლის თებერვალში პოდპოლკოვნიკ კ. ჯახუას დავიზია გარდაქმნილ იქნა გვარდიის დივიზიად. ამავე თვეში ამხ. ჯახუამ უკვე მიიღო პოლკოვნიკის წოდება და დაჯილდოებულ იქნა ალექსანდრე ნევსკის ორდენით, ხოლო მარტში ამხ. ჯახუას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

ამ დღეებში ამხ. ჯახუას 12 წლის შვილმა კარლომ თავისი სახელოვანი მამისაგან მიიღო წერილი, რომელშიც ეკითხება, თუ როგორ ცხოვრობს და სწავლობს იგი. „ეცადე, რომ ფრიადზე ისწავლო,—სწერს მამა, — მე კი შევეცდები ფრიადზე ვიბრძოლო“.

მიტინგი გმირის სამშობლო სოფელში

გურჯაანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის სოფლებში სწრაფად გავრცელდა ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა გვარდიის უმცროს ლეიტენანტს ვლადიმერ ლევანის-ძე ბეროშვილს. გმირის სამშობლო სოფელ კარდანახში შესდგა მიტინგი, რომელსაც 400-მდე კაცი დაესწრო.

მიტინგი გახსნა მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზ. გელდიაშვილმა. გმირის ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ფეიქრიშვილმა. მან მოუწოდა გმირის თანასოფლელებს ამ სასახარულო ცნობის სასასუხოდ კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება და თავდადებული შრომით ხელი შეუწყონ ძლევამოსილ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტთა დაჩქარებით განადგურებაში.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ კარდანახის კოლმეურნეობა „წიდილი მარნის“ თავმჯდომარე ამხ. გ. თედელაშვილი, ამ კოლმეურნეობის წევრი გმირის დედა ბაბე ბეროშვილი. სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე გმირის ამხანაგი, სამამულო ომის მონაწილე, ამჟამად დროებით შვებულებაში მყოფი უმცროსი ლეიტენანტი ალექსანდრე მღვდლიშვილი, სტახანოველი კოლმეურნე მარო ბასილაშვილი, მასწავლებელი გ. ცაგარეიშვილი და სხვ.

გმირის დედა ბაბე ბეროშვილი მიესალმა მიტინგის მონაწილეთ და მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას, უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს.

მიტინგმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნა თავის სასახელო თანასოფელს, საბჭოთა კავშირის გმირს გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ვ. ლ. ბეროშვილს.

მიტინგი გადაიღო კინოოპერატორმა ამხ. ჯანიბეგაშვილმა.

შ. მაჭავარიანი

საბჭოთა კავშირის გმირს გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ვლადიმერ ლევანის-ძე ბეროშვილს

გურჯაანის რაიონის კარდანახის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების წევრთა წერილი.

ჩვენო ძვირფასო თანასოფლელო ვლადიმერ!

უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა ჩვენი გული, როცა გავიგეთ, რომ კიევის ჩრდილოეთით მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის, მდინარე დნეპრის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის მტკიცედ გამაგრებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 16 ოქტომბრის ბრძანებულებით მოგენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადმოგეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლაში შენი თავდადების და გმირობის მაგალითი გვეორკეცებს ენერგიას, გვრაზმავს ახალი შრომითი მიღწევებისათვის, რათა უფრო მეტი დახმარება გავუწიოთ ფრონტს, ჩვენს გმირ წითელ არმიას გერმანელი ფაშისტი ყაჩაღების განადგურების დაჩქარებაში.

სამამულო ომის პერიოდში კარდანახელი კოლმეურნეები პატიოსნად იხდიან თავიანთ ვალს დედა-სამშობლოს წინაშე. სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენი სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები და კოლმეურნეები. მთლიანად შევასრულებთ სახელმწიფო ვალდებულებას ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დარგში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავის აღსანიშნავად ვიკისრეთ და კიდევაც შევასრულებთ გადაჭარბებით საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმებს, წითელი არმიის ფონდისათვის დავთესავთ 10 ჰექტარ საშემოდგომო კულტურებს, მოვიყვანთ მაღალ მოსავალს, გეგმის გადამეტებით გავუგზავნით მშობლიურ წითელ არმიას 15 ცენტნერ საუკეთესო ხარისხის თამბაქოს. გავაძლიერებთ დახმარებას და მზრუნველობას ფრონტელთა ოჯახებისადმი.

საოქტომბროდ ჩვენს გმირ მებრძოლებს უკვე გავუგზავნეთ ძვირფასი საჩუქრები — 100 ვედრო ღვინო, 7 ვედრო არაყი, 200 კილოგრამი ხორცი, 15 კილოგრამი ყველი, 25 კილოგრამი თამბაქო, 300 კილოგრამი ხილი, 400 წყვილი თბილი წინდა და ხელთათმანი.

გიგზავნით მხურვალე მშობლიურ სალამს, ჩვენო გმირო მებრძოლო, შვილო, ძმაო და მეგობარო ვლადიმერ, გისურვებთ კვლავ წარმატებით ანადგურო ფაშისტი ქვეწარმავალნი.

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადს, უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს!**

მიტინგის მონაწილეთა დავალებით წერილს ხელს აწერენ: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე სოსო გულაშვილი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები — გიორგი ტეტელოშვილი, ზაქარია ვადაჭკორია, იასონ ჩახვაშვილი, კოლა აკოფაშვილი, იოსებ ბერიანიძე, საკოლმეურნეო პირველადი ორგანიზაციების მდივნები — **იასონ ჩახვაშვილი, ბაბულია ილაშვილი, სონია ჩახვაშვილი, სიკო ჩახვაშვილი, ქეთო ამირაშვილი,** სტახანოველი კოლმეურნეები — **გიო ბასილაშვილი, შაქრო ბაკაშვილი, მარო ბასილაშვილი, თომა შაკარაშვილი, კოლა ტეტელოშვილი, შალვა მათიაშვილი, სანდრო ტეტელოშვილი, მარო შაკიაშვილი.**

უფროს ლეიტენანტ ბარამბიას მამაცობა

ჩვენი მებრძოლების მედგარი შეტევით თავზარდაცემული მტერი ყველა ზომებს ღებულობდა როგორმე შეეჩერებინა ქართველ ვაჟკაცთა წინსვლა. მოწინააღმდეგის ნაღმსატყორცნის ძლიერი ცეცხლი აფერხებდა ჩვენს წინწაწევას.

უფროს ლეიტენანტ გივი ბარამბიას ებრძანა ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაენადგურებინა მტრის ცოცხალი ძალა და დაეკავებინა სიმაღლე, რომელსაც დიდი სამხედრო-ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის.

ბარამბიამ მძიმე ტყვიამფრქვევით ცეცხლის კორიანტელი დააყენა, დიდი ზარალი მიაყენა ჰიტლერელებს, ჩაიჩუმა მტრის საცეცხლე წერტი და დაიკავა ნაბრძანები მაღლობი.

მოწინააღმდეგის მიერ გამოსროლილმა ნაღმმა მას ტყვიამფრქვევი დაუზიანა. მაგრამ ის არ დაიბნა, სასწრაფოდ მივარდა მეორე ტყვიამფრქვევს და განაგრძო ძლიერი ცეცხლი მტრისადმი.

ბარამბია მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მას შემცვლელის მისვლამდე ტყვიამფრქვევი არ მიუტოვებია.

უფროსი ლეიტენანტი გივი ბარამბია წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

უფროსი სერჟანტი ჩებიჩაშვილი

მოქმედი არმია.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტ ბ. ყანჩაველი

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ბიძინა ყანჩაველი სტალინგრადის გმირული ეპოპეის მონაწილეა. სტალინის ქალაქისათვის ბრძოლაში მან თავი გამოიჩინა როგორც წითელი არმიის ნამდვილმა ოფიცერმა, ლენინურ-სტალინური კომკავშირის ღირსეულმა შვილმა.

ერთი დიდი ქარხნის მახლობლად ძაღლობზე იდგა ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი. იქ ჩასაფრებულიყვნენ გერმანელი ფაშისტები. საჭირო იყო ამ სახლის აღება, რადგან იგი მეტად ხელსაყრელ პოზიციას წარმოადგენდა. პირდაპირი იერიშით მისი აღება არ შეიძლებოდა. საჭირო იყო რაიმე ხერხის ხმარება.

ამ ამოცანის შესრულება დაეკალა ამხ. ყანჩაველს. მან წაიყვანა უფროსი ლეიტენანტი ზემნიცკი და 7 მეავტომატე.

გარშემო ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. იმ ადგილიდან, სადაც ამხ. ყანჩაველი იყო ჩასაფრებული, ამ სახლამდე რამდენიმე ათეული მეტრი მანძილი რჩებოდა. გერმანელები უშენდნენ. ყანჩაველმა გადაწყვიტა სწრაფი გადარბენით თავი დაეღწია ტყვიებისათვის. სახლს გვერდი ჭქონდა გამონგრეული. „მომყეთ“, — დაიძახა ყანჩაველმა და პირველი გაიქცა სახლისაკენ. ორი მებრძოლი დაეცა. 7 კაცი შევარდა კედელგამონგრეულ ოთახში.

ამ ოთახში არავინ არ აღმოჩნდა, მაგრამ ზედა სართულები და კიბის ყაფაზები სავსე იყო გერმანელებით. ამ დროს სახლს დაუშინა ჩვენმა არტილერიამ. ყუმბარები პირდაპირ ხვდებოდა მიზანს და ფაშისტები იძულებული შეიჭრნენ სადმე შეეფარებინათ თავი.

ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს სახლში აღარავინ იყო. ყანჩაველმა გადაწყვიტა დაეთვალიერებინა სახლი. გადაეტანა რამდენიმე ოთახი და წაწყდნენ კიბეს, რომელიც სარდაფში ჩადიოდა. ჩასულნენ ამ კიბეს. შეაღეს სარდაფის კარი და... ყანჩაველს ... ეკრა ... ...

ქობულეთის რაიონი. სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნე სკენდერ მოწყობილი მანდარინის მოსავლის აღებაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზუგდიდის მტს-მა (დირექტორი ამხ. მ. დოჩია) წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად სატრაქტორო სამუშაოთა 1943 წლის გეგმა 113,1 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 3.970 ჰექტარისა დაამუშავა 4.490 ჰექტარი და დაზოგა 6.540 კილოგრამი საწვავი. დამზადებული და რესტავრირებულია ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილები 13.370 მანეთისა, ნაცვლად გათვალისწინებული 10.200 მანეთისა. სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება ყოველ ჰექტარზე შემცირებულია 23,8 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელა მესამე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ჯ. ჭირია). წლიური გეგმა 219,6 პროცენტით შეასრულა, გეგმით გათვალისწინებული 330 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 923 ჰექტარი და დაზოგა 930 კილოგრამი საწვავი. მესამე ბრიგადას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს მეორე ბრიგადა, რომელიც აგრეთვე მოწინავეა, ამ ბრიგადამ წლიური გეგმა 108 პროცენტით შეასრულა.

პირველმა ბრიგადამ, რომელიც შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მეხუთე ბრიგადასთან, წლიური გეგმა შეასრულა 148,9 პროცენტით და დაზოგა 185 კილოგრამი საწვავი. მოწინავეა მეხუთე ბრიგადაც (გეგმა შეასრულა 109,6 პროცენტით).

თავდადებით იმუშავეს ტრაქტორისტებმა გ. მიქაიამ, ვ. ჯიქიამ, ბ. არჩაიამ და სხვებმა. სატრაქტორო ბრიგადებს კარგად ეხმარებოდნენ მექანიკოსები დ. ბოლოტინი და ანტონ ჯიქია.

მტს-ის მთელი კოლექტივი, აღფრთოვანებული სახელოვანი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით, საქმით ანაღდებს წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და ახალი წარმატებებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს.

ხ. ბერულავა

დაიწყო ციტრუსთა ნაყოფის კრეფა

ფოთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ციტრუსების ნაყოფის შერჩევითი კრეფა. უკვე გამზადებულია და მოსკოვის მშრომელებისათვის იგზავნება თითო ვაგონი მანდარინი და ლიმონი. ციტრუსების მასობრივი კრეფა ამ დღეებში გაჩაღდება.

გეგმების შესრულება

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ქ. ბოგვია

* * *

წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ მწვანე ფოთლის ჩაბარების წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 530 ტონისა ჩაბარებულია 530,3 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

წულუკიძის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ფირცხალავა

* * *

წალენჯიხა (ტელეგრაფით). წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

* * *

ორპირის ჩაის ფაბრიკამ ვადამდე წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ფაბრიკას განსაკუთრებით მიღწეული აქვს უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამოშვებაში. პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 109,8 პროცენტით.

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXVI წლისთავს

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ახალი გამარჯვებებით ხვდებიან

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, „მოსკოვუგოლის“ მეშახტეთა მოწოდების საპასუხოდ ახალ გამარჯვებებს აღწევენ. მარგანტრესტმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოქტომბრის გეგმები, ჭიათურელმა მაღაროელებმა ოქტომბერში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს რამდენიმე ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

წარმატებით მუშაობენ სტალინის სახელობის (დირექტორი ხ. ჯაფარიძე), ორჯონიკიძის სახელობის (დირექტორი დ. ერგეშოლიძე), ლენინის სახელობის (დირექტორი აკ. ფხალაძე) და კაგანოვიჩის სახელობის (დირექტორი ირ. კაკაბაძე) მაღაროთა კოლექტივები.

მარგანეცის გამოღების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ უბნები, რომლებსაც ამხ. ტ. ფოფხაძე, ეფ. გფრინდაშვილი, კ. კვარაცხელია, ბ. სამხარაძე (სტალინის სახელობის მაღარო), გ. მიროტაძე (ლენინის სახელობის მაღარო), მ. კენჭოშვილი, ს. კალაძე (ორჯონიკიძის სახელობის მაღარო), შ. გფრინდაშვილი, პ. ბოყოველი, ბ. ბოჭორიშვილი (კაგანოვიჩის სახელობის მაღარო) ხელმძღვანელობენ.

ჭიათურაში ცნობილია სტახანოველი ამწეშენდების პ. მირიტაძის, კ. ლომთათაძის (ორდენოსნები), ს. ოთინაშვილის, ვ. კაპანაძის, ტ. მიროტაძის, ა. გაფრინდაშვილის, გ. ბოყოველის, ს. ქურცაძის, გ. მერმანიშვილის, ვ. მესხის, ი. ასანიძის, მრავალსანგრევოსანი მბურღავების ვ. იაკობიძის, ს. სერგეევის, გ. ჭიღლაძის, პ. თაბაგარის სახელები.

ლენინის სახელობის მაღაროში ახალმოსული მუშები ამხ. გ. თაბუკაშვილი (სტალინირიდან), ა. ჩუბინიძე, ი. ბაშკურიძე (ქუთაისიდან), ა. ოსტიევი სწრაფად დაეუფლნენ პროფესიებს და ახლა გეგმის გადამეტებით იძლევიან მარგანეცს.

ჭიათურელ მაღაროელთა და წარმოების მეთაურთა სბრძოლო ამოცანაა განმტკიცონ მოპოვებული წარმატება, ახალი ძალით იბრძოლონ მეტი მარგანეცისათვის, ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს.

ჯ. ჯიოკაძე

წარმაგებით გავანაღლოთ ნაკისრი ვალდებულებები

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძის ამბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი შ. ვასაძე, პარტბიუროს მდივანი ნ. სურგულაძე) თავდადებით იბრძვის წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის. ფაბრიკის ყველა საამქრო ფაბრიგადა ოქტომბერში უკეთესად მუშაობს, ვიდრე გასულ თვეებში მუშაობდა.

ძაფსაღები საამქრო (გამგე ე. დოლიძე) ყოველდღიურ გეგმას 185 პროცენტით ასრულებს, ძაფსაგრეხი საამქრო (გამგე ა. ლომინაძე)—114 პროცენტით. დღიურ დავალებებს 115-200 პროცენტით ასრულებს სალბობი განყოფილება.

ფაბრიკის მრავალი სტახანოველი ჰყავს, რომელიც წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს; ტატიანა ნეფედოვა სამ დაზგაზე მუშაობს და დღიურ დავალებას 316 პროცენტით ასრულებს. ნორმებს სამჯერ გადაჭარბებით ასრულებენ ციალა ღლონტი, სონია ჯიქია, თამარ ხუხუნაშვილი და სხვ.

გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს იმისათვის, რომ დაფარულ იქნას გასული თვეების დანაკლისი და წლიური გეგმა 5 დღით ადრე შესრულდეს; ორი პროცენტით გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, საწვავის გათვალისწინებული მარაგიდან დაზოგილ იქნას 5 პროცენტი.

ფაბრიკის მიერ აღებულ საოქტომბრო ვალდებულებაში გათვალისწინებული იყო აგრეთვე ახალმოსული მუშების ტექნიკური აღზრდა, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა დღემდე სუსტად მიმდინარეობს. ფაბრიკაში ასზე მეტი ახალი მუშაა. სექტემბერში მუშაობდა ტექმინიმუმის შემსწავლელი წრე, მაგრამ ოქტომბერში არცერთი მეცადინეობა არ შემდგარა. ფაბრიკის პარტორგანიზაციამ და ხელმძღვანელებმა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექციონ.

ლ. ლოლაძე

მოწინავენი სოციალისტურ შეჯიბრებაში

თელავი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ მეცხოველეობაში წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სოფ. ოყეიოს ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ალ. თვალიაშვილი) გეგმის გადამეტებით ჰყავს 12 სული ძროხა და ფურკამეჩი, 49 ცხვარი და თხა, 39 ღორი, 2 ცხენი. აქ გათვალისწინებული 22 სულის ნაცვლად შესყიდულია 52 სული მსხვილფეხა პირუტყვი, გეგმის გადამეტებით დაკონტრაქტებულია 50 სული მოზარდი პირუტყვი. უხეში საკვები დამზადებულია 20 პროცენტით მეტი, ვიდრე საჭიროა, და მთლიანად მიტანილია საქონლის ბინებთან. გარდა ამისა, მომზადებულია 200 ცენტნერი სილოსი, 100 ცენტნერი კოტტონი, გამოყოფილია 50 ცენტნერი ქერი. საქონლის ბინების შესაკეთებლად გამოყოფილმა ბრიგადამ 15 კაცის შემადგენლობით დაამთავრა ზღვის დაგები, ბაგების გამართვა და სხვ.

საქონლის გამოზამთრებისათვის ყოველმხრივ მზად არის ფიჩხოვანის კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯი“ (თავმჯდომარე ს. ბაგაური). აქ მზად აქვთ 4.900 ცენტნერი უხეში საკვები, 120 ტონა სილოსი და 10 ტონა სიმინდი. სუფეთესოდ არის გამართული გომურები. ართანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ყურშიტაშვილი) საქონლის საფრომების რემონტზე 25 მოწინავე კოლმეურნე მუშაობს.

კისისხევის კოლმეურნეობაში 12 წელიწადია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგედ ნასყიდა აზნიაშვილი მუშაობს. იგი გამოცდილი, ენერგიული მესაქონლეა. წელს აზნიაშვილმა მწყემსების საშუალებით ფერმის საქონლისათვის მოიყვანა 50 ცენტნერი ჭარხალი და 60 ცენტნერი სიმინდი. კოლმეურნეობა მომზადებულია საქონლის გამოზამთრებისათვის.

ს. ძოწლაძე

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. გაჩაღებულია წინასაოქტომბრო შეჯიბრება. დუშეთის რაიონის მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები ჭმირი წითელი არმიის წარმატებათა პასუხად აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. სოფ. ხომის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ მსხვილფეხა საქონლის სულადობის განვითარების 1943 წლის გეგმა შეასრულა 100 პროცენტით, ცხვრისა კი 120 პროცენტით, სოფ. გომეწრის ეროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ მსხვილფეხა საქონლის სულადობის ზრდის გეგმა 108 პროცენტით შეასრულა, ხოლო ცხვრისა 107,5 პროცენტით. წარმატებით შეასრულეს გეგმები აგრეთვე სოფ. ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობამ და სოფ. შარახევის და წიფოვან კანატის კოლმეურნეობებმა. ამავე დროს აღნიშნულ კოლმეურნეობებს როგორც შირაქში, ისე ადგილზე ზამთრისათვის საკმაო რაოდენობით დამზადებული აქვთ საქონლის საკვები.

ალექსი ხუცურაული

დუშეთის რაიონის მაღაროხკარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე



ქუთაისი. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ამხ. გ. უგულავა (მარცხნივ) ეხაუბრება საამქროს უფროსს ბ. კვერნაძეს, ბრიგადირებს ც. ყიფიანს და ი. მშველიძეს წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა შესრულებაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

ბათუმი. ა. მიჭოიანის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა. თამბაქოს ჩამწყობი სტახანოველი ნადია ლებედევა, რომელიც გეგმას 170 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

შრომითი აღმავლობა ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ფაბრიკა ქარხნები და რკინიგზის ტრანსპორტი საწარმოო შრომითი აღმავლობით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს. ტყავფეხსაცმლის კომბინატმა ოქტომბრის გეგმა 136 პროცენტით შეასრულა. სადაკვეთომ, საძირისა და საპირის ამჭრელმა საამქროებმა ოქტომბრის საწარმოო დავალებანი 120-140 პროცენტით გაანაღდეს. თავიანთ საწარმოო პროფესიას დაეუფლნენ, თავისი საქმის კარგი მცოდნენი გახდნენ ნიურა შაროვა, ევგენია აგაფონოვა, ზინა კიკვიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, რომლებიც დიდი სამამულო ომის დღეებში საწარმოო გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ ოქტომბრის დავალება 104,9 პროცენტით შეასრულა და საგრძნობი ეკონომია გასწია ნედლი მასალის ხარჯვაში. სტახანოველების ოლია მებუკის, ვასილ კუპრაშვილის და ქეთევან ასათიანის ბრიგადებმა მიცემული გეგმები 20-30 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს.

ახალი წარმატებებით ხვდება დიად დღესასწაულს ქუთაისის რკინიგზის დეპოს კოლექტივი, რომელმაც ოქტომბერში ნახევარი სათით შეამცირა ორთქლმავლთა დგომა საგარეცხვო შეკეთების დროს, ტექნიკური სიჩქარე გაადიდა ორი პროცენტით და საგრძნობი გადამეტებით გაანაღდა საღღეღამისო გარბენის დავალება. ლენინელმა მემანქანემ ამხ. სერგო კიკნაძემ ორი პროცენტით გაადიდა ტექნიკური სიჩქარე და გეგმა 140 პროცენტით შეასრულა. ასევე მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მემანქანე ვლადიმერ ჯიმშკარიანი, ოსტატები ბიქტორ ჩუტლაშვილი და ვალერიან კორეიძე, ზეინკალი ვასილ ბანევიჩი და სხვები.

მძლავრი შრომითი ენტუზიაზმი სჩქეფს კვების საწარმოებშიც. მაგალითად მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანამ მიმდინარე სამეურნეო წლის ათ თვეში საწარმოო დავალება გადაჭარბებით გაანაღდა. წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით გაანაღდა მთავარი საამქროს ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ამხ. ვერა ბოკერია ხელმძღვანელობს. სამურაბე საამქროს მუშამმა: ნინო ხოროშკოვამ და ლუბა განგესოვამ მიცემული გეგმა ორმაგად შეასრულეს. სერიოზულ გამარჯვებას მიაღწია საკონდიტრო ფაბრიკამ, რომელმაც ოქტომბრის გეგმა 239 პროცენტით შეასრულა.

დიად თარიღს მიღწევებით ეგებებიან აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. მაგალითად, მექანიკურმა ქარხანამ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაწევლით ოქტომბრის გეგმა 209 პროცენტით შეასრულა.

ნ. კოვზირიძე

გააუმჯობესეს ციტრუსოვანთა მოვლა

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელების საფუძველზე ცხაკაიას რაიონში გაუმჯობესდა ციტრუსოვანთა პლანტაციებისა და სანერგეების მოვლა.

ციტრუსებს მზრუნველობით უვლიან სოფელ შზეფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ პლანტაციები გათოხნილია ორჯერ, სანერგე—5-ჯერ, წამლობა ჩატარებულია ორჯერ, ხოლო დაავადებულებზე—სამჯერ. ვადაზე ადრე გეგმის გადამეტებით დამყნობილია 5.000 ძირი ტრიფოლიატი. გაცხოველებით ემზადებიან ციტრუსების სუფეთესოდ გამოზამთრებისათვის. საკმაო ოდენობით დაამზადეს ბიჯგები, სარები. იმარაგებენ შესაფუთავ მასალას. ზამთარში ნერგების შესანახად სრულ წესრიგში მოჰყავთ ფარდულები. სანერგის გამგე ყ. გრიგოლავა სამუშაოთა დღიურ ნორმებს ხშირად ორმაგად ასრულებს. იგი მუშაობდა მუნობაზეც, ყოველდღიურად 500 ძირის ნაცვლად ამყნობდა 1.000-1.200 ძირს. კოლმეურნე მაქსიმე ახალაია დღეში 800-1.000 ძირს ამყნობდა. ასევე მოწინავეა ნ. როგავა. ნაყოფიერად მუშაობს ამ კოლმეურნეობის აგრონომი ნ ფოჩხიძე. მან კოლმეურნეებს შეასწავლა ციტრუსოვანთა მოვლის წესები და ახლაც ყოველდღიურად ეხმარება მათ.

ნ. კუჭავა

ვარლამ შურული

ჩვენი დღესასწაული

(პოემიდან „დიდი მარშალი“)

კრემლმა რადიოს გამოატანა
კარგი ამბები ხალხში ხმაურით.
ბარში ყურს უგდებს დიდი, პატარა,
მთაში — ათასი ზვიადაური.

რამდენი ტკბილი ცნობა მოვიდა —
მისით ატოკდა გულის დაირა.
ჩემს ოთახშიაც შორ მოსკოვიდან
ჰქქს ზარბაზანი ქუხილნაირად.

მზეც შინ შემოდის ნაციმციმარი,
როცა ეთერი მამულს გადასცემს:
— დღეს ლესელიძის ჯვარი წინ არის,
წინსვლა უხდებათ რკინის ვაუკაცებს!—

მესმის ქართველი გმირის სახელი,
ვინც მამაცობით სხვაც ასახელა.
გმირი ქარცეცხლის გადამლახველი
ქვეყნად ანათებს ვით ცისარტყელა.

მესმის სიტყვა და თვალითაც ვხედავ
როგორ იბრძვიან ნაბადვილ ვეფხვებად.
ეს თავდაღება, მშობელო ლედავ,
შენს იავარდულ ძეძულ ეფეა!

შენს იავნანას ფიქვის აკვანში
შვილი უზრდია გმირად სვიანად,
გმირი იწრთობა ომში, დაკვრაში,
ჩეხავს დუშმანებს ძირფესვიანად.

როცა მზე მთიდან დაექანება,
მოდის ღამე და ცა იბინდება,
დიდი მარშალის ყველა ბრძანება
მოსკოვის ზალპით დაგვირგვინდება.

„ნეტავ ახალი კიდევ რა მოხდა?“ —
ხშირად კითხულობს ბარი, აული.
გრძელდება მტრების სულის ამოხდა
და ჩვენს ქუჩაზე დღესასწაული.

მარიკა მიქელაძე

ბაღადა კომკავშირელ ნატროშვილზე

ხევის გაღმა კლდე არი, ჯმუხი და ნატყვიარი
და კლდის თავზე მტერია ცეცხლით გამაგრებული.
ტყვიამფრქვევი კაკანებს, ტყვიისფერი დღე არი
მებრძოლს უნდა მგლის მუხლი, მებრძოლს უნდა კლდე-გული.
რომ ეს ხევი გალიოს, ნახოს სადაც მტერია...
ტყვიის ნაღვერდალია, ზეცა ტყვიისფერია.

ცეცხლმა სერი დასერა, სცვივა ტყვიის ფანტელი,
წინ მიდიან ვეფხვები, მიაქვთ რისხვა მზარავი,
ხვდებათ ცეცხლის ღობური, ცეცხლის კორიანტელი.
მრუმე ზეცა გრუხუნებს, მიწა კვნესის ზანზარით.
ბევრის ყოფნა დაიწვა, როგორც თაფლის სანთელი.
ცეცხლმა სერი დასერა, სცვივა ტყვიის ფანტელი.

ხევი გადაიარეს, მიაქვთ რისხვა მზარავი.
იმ კლდეს მიუახლოვდნენ, სად ველურნი სახლობენ.
ცეცხლი გადაეღობათ, ხურავთ ცეცხლის კარავი,
მაგრამ მამულს სჭირდება დაიკავონ მაღლობი...
დაე, სისხლმა იწვიმოს, არ შედრკება არავინ.
წინ მიდიან ვეფხვები, მიაქვთ რისხვა მზარავი.

ნეტავ რამ ჩააჩუმოს ტყვიამფრქვევი მყეფარი?
სანამ იგი კაკანებს ეს კლდე მიუვალია.
ბევრის ყოფნა დაიწვა და სიცოცხლე მგზნებარი,
სათოფურმა შავბნელმა რამდენის მზე დალია...
ნეტავ ვინ გადუდგება ცეცხლის წვიმის ალიონს?
ტყვიამფრქვევი კაკანებს და კლდე მიუვალია.

მაგრამ დაწინაურდა შავგვრემანი ვაუკაცი,
წინ გადუდგა სათოფურს, აეფარა კლდე-გულით,
დადგა ტუჩებმოკვნეტით, შავ თვალების კაშკაშით
და თვის მკერდზე მიიღო ჯერი გაშმაგებული...
ტყვიამ მკერდი დაცხრილა,—რკინა გაუჭედელი,
ოგი არ გადახრილა—იდგა როგორც კედელი.

ძირს დაეცა. ეჩვენა მიწა რბილად ნაგები:
დედის გვერდი რბილია! გაეღიმა ბავშვივით
და ბურანში ჩაესმა „ვაშა“ ამხანაგების
და იხილა კლდის თავზე დროშა ცეცხლად გაშლილი,
თვალი შერჩა მშობლიურს ფრთოსან დროშას ალიონს
ვალმოხდილმა ვაუკაცმა სული მშვიდად დალია.

რამდენია ასეთი ჩვენს ლაღ მზეში ნაზარდი?
განა მათი გმირობა წლობით განიზომება.
იგი ხალხში იცოცხლებს, როგორც ხალხის ლაზათი,
იგი ხალხში იცოცხლებს, როგორც მისი დიდება!
და იმ მიწას ვერასდროს მტერი ვერ მოერევა,
სად ასეთნი გაზრდილან ხალხის ბედნიერებად!

კოლმეურნის სახსრებით აგებულმა თვითმფრინავმა ფაშისტთა 52 თვითმფრინავი მოსპო

ბოგრჩალო, 2 ნოემბერი. შარშან სეპტემბრის თვითმფრინავთა ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობისათვის სახსრების შეგროვების დროს ბორჩალოს რაიონის სოფ. კაჩაგანის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ თავმჯდომარე ამხ. მუხტარ ყარაოღლი კურბანოვმა თავისი დანაზოგიდან შეიტანა 110.000 მანეთი და მადლობა მიიღო ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისაგან. ამას წინათ ამხ. მუხტარ ყარაოღლი კურბანოვმა წერილი მიიღო მისი სახსრებით აგებული თვითმფრინავის ეკიპაჟისაგან.

თვითმფრინავის ეკიპაჟის სახელით მფრინავი სტოროჟკოვი სწერს: „პატივცემულო ამხ. მუხტარ ყარაოღლი კურბანოვ! თქვენი დანაზოგით აგებული თვითმფრინავი წარმატებით განაგრძობს მტრის განადგურებას. თვითმფრინავის ეკიპაჟს თავის საბრძოლო ანგარიშზე აქვს უკვე 52 ჩამოგდებული გერმანული თვითმფრინავი. თქვენმა თვითმფრინავმა მოსპო და დააზიანა გერმანელთა ათობით ტანკი, გაჟალიტა ასობით ჰიტლერელი. თვითმფრინავის მთელი ეკიპაჟი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით.

მთელი ეკიპაჟის სახელით სიტყვას გაძლევთ თქვენ, თქვენი კოლმეურნეობის ყველა კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს, რომ ეკიპაჟის მთელი ენერგია და ძალ-ღონე მიმართული იქნება გერმანელ ფაშისტთა საბოლოო განადგურების დაჩქარებისაკენ. მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი. გისურვებთ ნაყოფიერად იმუშაოთ საქართველოს აყვავებულ მინდვრებში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

მებრძოლი თვითმფრინავის წამყვანის წერილმა აღფრთოვანა არტელ „სოციალიზმის“ კოლმეურნეები. კოლმეურნეობის მინდვრებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის (საქდესი).

საფოსტო მარკები და ღია წერილები საკ. ალკ XXV წლისთავის აღსანიშნავად

საკ. ალკ XXV წლისთავის დღეს გასასყიდად გამოვიდა საიუბილეო საფოსტო მარკები და ღია წერილები.

5 მილიონ ცალად გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირ ზოია კოსმოდემიანსკაიასადმი მიძღვნილი საფოსტო ბარათი. მილიონიანი ტირაჟით გამოდის 15-კაპიკიანი და 1-მანეთიანი მარკები. მარკებზე გამოსახული იქნებიან ახალგაზრდა ფრონტელი პატრიოტები.

გამოშვებულია კრასნოდონის გმირებისადმი მიძღვნილი 400.000 დაბეჭდილი ბარათი.

29 ოქტომბერი (საკდესი).

მ. ვ. ფრუნზეს სახლ-მუზეუმში

ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეს ცენტრში არის პატარა სახლი. ამ სახლში ყოველდღე მიდიან რესპუბლიკის ასობით მშრომელნი და საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩასულნი. აქ გაატარა ბავშვობა და ჭაბუკობა გამოჩენილმა სარდალმა მ. ვ. ფრუნზემ. მუზეუმის ოთახებში მოთავსებულია უბრალო საოჯახო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა, დოკუმენტები, რომლებიც გვიხატავენ წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორის რევოლუციურ და სამხედრო მოღვაწეობას.

მიხეილ ვასილის-ძის გარდაცვალების მე-18 წლისთავისათვის—31 ოქტომბრისათვის—მუზეუმის ეჭპონატები ახალი მასალებით შეივსო. მათში დიდ ინტერესს წარმოადგენს მხატვარ ლიუბიმოვის სურათი „ფრუნზე სტალინთან“. ყირიმის პეიზაჟის ფონზე ჭაბუკის დაფასთან გამოხატული არიან ფრუნზე და ვოროშილოვი, რომელთა თამაშსაც ყურადღებით დასცქერის სტალინი.

მუზეუმთან ამას წინათ გაიხსნა განყოფილება, მიძღვნილი ფრუნზეს შვილის, საბჭოთა კავშირის გმირ თიმურისადმი, რომელმაც თავი ისახელა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში (საკდესი).

დ. ზასლავსკი

დიად გამარჯვებათა წელი

1942 წლის ნოემბერში გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ ვოლგის გადალახვას. ეს მათ ვერ მოახერხეს. 1943 წლის ოქტომბერში გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ წითელი არმიისათვის დნეპრის გადალახვაში. წითელმა არმიამ მოახერხა ეს.

გასული წელი გეოგრაფიულად ვოლგასა და დნეპრს შუა თავსდება. რუსეთის ორ დიდ დინარეს შორის მდებარე უდიდეს სივრცეებში მოთავსდა წლის მთავარი მოვლენები.

კიევსა და სტალინგრადს შორის 1.000-ზე მეტი კილომეტრია პირდაპირი საჰაერო ხაზით. მაგრამ წითელი არმია უკან მიერეკებოდა გერმანელებს ხშელეთით. კიევიდან სტალინგრადამდე რკინიგზით 1.300-ზე მეტი კილომეტრია. თემშარიით უფრო მეტი. და ყველა გზა მოფენილია გერმანელთა გვამებით.

მაგრამ საქმე მარტო ციფრები, სივრცე და გერმანელთა გვამები როდია. გერმანელთა არმია, რომელიც უკან იხევდა ერთი წლის განმავლობაში და ვერ შესძლო შეჩერებულიყო ვერც ერთ წყლის ზღუდეზე, სრულიადაც ადარ არის ის არმია, რომელიც ვოლგისაკენ მოდიოდა. სერიოზული ცვლილებანი მოხდა წითელ არმიაშიც, რომელმაც დნეპრზე მიერეკა გერმანელები და დნეპრს გაღმაც გადარეკა ისინი. გერმანელთა არმია უფრო სუსტი გახდა. წითელი არმია უფრო ძლიერი გახდა.

დიად გამარჯვებათა წელიწადი სტალინგრადით დაიწყო. გერმანელთა სარდლობას სტალინგრადთან ასიათასობით გერმანელი დაეხოცა. მან დაკარგა ორი არმია, დაღუპა თავისი ჩრდილოეთიანი ცხოვანი საუკეთესო ტექნიკა. გერმანელებმა უკანდახევა იწყეს წითელი არმიის დარტყმების გამო და თან მიჰქონდათ საბედისწერო ხსოვნა სტალინის ქალაქის შესახებ. ისინი დაავადმყოფდნენ „სტალინგრადის ფსიქოზით“. ასე განმარტა გერმანიის არმიის სულიერი მდგომარეობა ჰიტლერმა.

უბრალოდ რომ ითქვას, გერმანელი ჯარისკაცი შეშინდა. ეს ადარ არის წინანდელი, ისინი ფოლგისაკენ მოისწრაფოდნენ. ახლა გერმანელები ოცნებობდნენ დნეპრს, მის მარჯვენა ნაპირს ამოფარეხოდნენ. მაგრამ მათ ვერც დნეპრის ხაზის შენარჩუნება მოახერხეს. მათ ვერ უშველეს „ვეფხვებმა“ და „ფერდინანდებმა“. ყოველივე მეცადინეობა ქარწყლდებოდა საბჭოთა მეომრების შეტევის წინაშე.

დნეპრს რომ მიადგა, წითელ არმიას უდიდესი გამოცდილება, დიდი გაწრთვნილობა, შესანიშნავი სამხედრო ოსტატობა ჰქონდა. ერთი წლის განმავლობაში იგი დავუკაცდა, კუნთები გაუმაგრდა, თვალები უფრო გაუმახვილდა. იგი გაიზარდა ყოველნაირად. „წითელი არმიის ასიათასობით და მილიონობით მებრძოლი გახდა ოსტატი თავისი იარაღისა—შაშხანის, ხმლის, ტყვიამფრქვევის, არტილერიის, სანაღმმტყორცნო საქმის, სატანკო საქმის, სასანგრო საქმის, ავიაციის. წითელი არმიის ათიათასობით მეთაური ჯარების გაძღოლის ოსტატი გახდა“,—ამბობდა ამხანაგი სტალინი.

წითელი არმიის შეტევა არის შესანიშნავი მანევრების, ოსტატური საფლანგო დარტყმების, მოწინააღმდეგის ზურგში გაბედულ რეიდთა წყება. სამხედრო ადამიანების თაობები შეისწავლიან გამარჯვების ამ მანევრებს, რომელნიც საერთო ჯამით სამხედრო მეცნიერების სტალინურ სკოლას შეადგენენ.

ივლისში, ისარგებლა რა წითელი არმიის შეტევის დროებითი შეჩერებით, გერმანელთა სარდლობამ სცადა განეხორციელებინა თავისი განზრახვა შეტევითი დარტყმისა. მაგრამ ამ განზრახვის დროულად მივუხვდით. ასე საბრძოლველად ჯერ არასოდეს არ ჩაფუშულა შეტევა, მოფიქრებული, გულმოდგინედ, გერმანული პედანტიზმით, ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით. გერმანელები მახეში მოჰყვნენ ორიოლთან, როგორც მახეში მოჰყვნენ სტალინგრადთან. მათ განზრახვებში არაფერი ყოფილა მოულოდნელი ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობისათვის. გერმანელებისათვის კი მოულოდნელი ხდებოდა ყველაფერი, რასაც საბჭოთა სარდლობა წამოიწყებდა.

ისინი არ მოელოდნენ დარტყმას სტალინგრადთან, ვერ შეაფასეს საბჭოთა მანევრის მთელი სერიოზულობა—და ისე დამარცხდნენ, როგორც დღემდე მსოფლიოს არც ერთი არმია არ დამარცხებულა. ისინი არ მოელოდნენ ჩვენს მანევრს ორიოლთან და ბელგოროდთან. მათ აზრათაც არ მოუვიდოდათ, რომ წითელი არმია უმაგალითო საქმეს ჩაიდენდა: პირდაპირ ლაშქრობიდან გადალახავდა ისეთს განიერსა და ღრმა მდინარეს, როგორიც არის დნეპრი, თავისი სწრაფი დინებით, ციცაბო, ფლატეებიანი მარჯვენა ნაპირით, მრავალრიცხოვანი წინასწარ მომზადებული სიმაგრეებით.

თავიანთი უკანდახევის დროს ჰიტლერელები ბევრ რამეს სტოვებდნენ

საუბარი გენერალ-მაიორ ბერლინგთან

„იზვესტიას“ კორესპონდენტმა პოლონელთა პირველი კორპუსის მეთაურს გენერალ-მაიორ ბერლინგს სოხოვა გამოეთქვა გაზეთის ფურცლებზე თავისი შთაბეჭდილებანი პირველ ბრძოლებზე, რომლებშიც მონაწილეობა ქრიფო ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონელთა დივიზიამ.

როგორც ცნობილია, ეს დივიზია წარმატებით მოქმედებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე.

„რა ვითარებაში მოხდა პოლონელ მეომართა პირველი ბრძოლა გერმანელ ოკუპანტებთან და რა ამოცანა შეასრულა ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზიამ?“—შეეკითხა კორესპონდენტი გენერალ-მაიორ ბერლინგს.

„დივიზიამ, — სთქვა გენერალ-მაიორმა ბერლინგმა, — მიიღო ამოცანა — გაერდვია მოწინააღმდეგის თავდაცვა. შეტევის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დივიზია გულმოდგინე დაზვერვას ეწეოდა მცირე პატრულებით. უკანასკნელ ღამეს ბრძოლის წინ გამორკვეულ იქნა მოწინააღმდეგის ციცხლსროლი საშუალებანი, მისი სანაღმტყორცნო და საარტილერიო ბატარიებისა და ძელმიწური საცეცხლე წერტილების განლაგება. დივიზიას ძლიერი დახმარება გაუწიეს საბჭოთა არტილერისტებმა. ისინი შესანიშნავად ისროდნენ ამ ბრძოლაში. როცა საარტილერიო მომზადება დაიწყო, მოწინააღმდეგის მთელი წინა კიდე ყუმბარების აფეთქებებით დაიფარა. გარკვეულ მომენტში ჩვენი არტილერიის ცეცხლი გადატანილ იქნა გერმანელთა თავდაცვის სიღრმეში, და დივიზია შეტევაზე გადავიდა.

იმისათვის, რომ გერმანელთა თავდაცვიდან ზოლიანთან გავჭრილიყავით, საჭირო იყო ფრენარის გადალახვა. ღამით ჩვენმა მესაზვრეებმა ხიდი აიგეს. ისინი გმირულად მოქმედებდნენ. მტრის ძლიერმა ცეცხლითმა წინააღმდეგობამ ხელი ვერ შეუშალა ჩვენი დივიზიის მესაზვრეებს, რომლებიც მეზობლად მდგომ წითელი არმიის ნაწილთა მესაზვრეებთან ერთად მუშაობდნენ, და მათ ააგეს ხიდი ქვეითი ჯარისა, ტანკებისა და არტილერიისათვის.

აქ საბრძოლო პოსტზე გმირულად დაიღუპა დივიზიის ინჟინერი მაიორი მუკენსკი.

დივიზიის მებრძოლებმა წყლის ზღუდე გადალახეს და იერიშზე გადავიდნენ. ისინი მიდიოდნენ წელში ჩამირთულნი და განუწყვეტლივ ისროდნენ. როდესაც დივიზიის პირველი ეშელონი გერმანელთა სანგრებს უკვე სამ ხაზს გასცდა, არმიის სარდალმა ტელეფონთან გამომძახა და მითხრა: „მოგილოცავთ შეტევას. თქვენი მებრძოლები კარგად მიდიან“.

სათვალთვალო პუნქტზე მყოფი არტილერისტები აღტაცებული იყვნენ დივიზიის მებრძოლებით და ამბობდნენ: „ყოჩაღ, პოლონელებო!“

მტრის თავდაცვის სიღრმეში ჩვენს ჯარისკაცებს გერმანელთა გაფთრებული კონტრიერიშების მოგერიება მოუხდათ. შემტევი მებრძოლების წინააღმდეგ გერმანელებმა ტანკები და თვითმავალი ქვემეხები გამოიყენეს.

ავიაციის მასირებული თავდასხმები მთელი ბრძოლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ბრძოლის პირველ დღეს დივიზიამ მტრის ოთხი კონტრიერიში მოიგერია. მეორე დღეს — გერმანელთა კიდევ სამი ცდა — დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები.

დივიზიის ჯარისკაცებს მათ მიერ ბრძოლით დაკავებული არც ერთი გოჯი ტერიტორია არ დაუთმიათ.

პოლონელი ჯარისკაცები და ოფიცრები ბრძოლაში მიდიოდნენ გამარჯვების დიდი რწმენით. ისინი გამსჭვალული არიან ერთსულოვანი მისწრაფებით — შური ხძინონ გერმანელებზე სამშობლოს შებღალული მიწა-წყლისათვის“.

ამთავრებს რა საუბარს გენერალ-მაიორი ბერლინგი ლაპარაკობს თავის პირად შთაბეჭდილებებზე, იმაზე, თუ რა აზრებს იწვევს ყოველ ადამიანში წითელი არმიის შეტევის დიადი სანახაობა.

„ეთსაც ერთხელ მაინც უნახავს, როგორ უტევს წითელი არმია, როგორ ამსხვრევს ჩერმანელთა თავდაცვას და ერეკება მათ მშობლიური მიწა-წყლიდან, იგი იმსჭვალება რკინისებური რწმენით, რომ ჰიტლერული არმიის განადგურება გარდუვალია.

წითელი არმიის დარტყმების ძალა დღითი დღე მატულობს.

ჩვენ, პოლონელი პატრიოტები, ბედნიერნი ვართ, რომ მონაწილეობას ვიღებთ დიდ ბრძოლაში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ბრძოლაში გერმანელთაგან წაბილწული პოლონეთის განთავისუფლებისათვის.

ჩვენ ახლოს ვნახეთ გერმანელები. ბრძოლის ველზე დარჩა ასობით გერმანელთა გვამი. 300-მდე ჰიტლერელი ტყვედ წამოიყვანეთ.

შებღალული პოლონეთისათვის ჩვენი შურისგების ანგარიში გახსნილია! ჩვენ მასში კიდევ არა ერთ ფურცელს ჩავწერთ!“

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

30 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XIII სამეცნიერო სესია, რომელიც მთლიანად მიძღვნილი იყო ფსიქოლოგიის საკითხებისადმი.

სესია გახსნა მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკად. გ. ახვლედიანმა. პირველ სხდომაზე მოხსენებით—„ენის შინაგანი ფორმის ცნება“—გამოვიდა აკად. დ. უზნაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ენის შინაგანი ფორმის ცნება შემოტანილია მეცნიერებაში ჰუმბოლდტის მიერ ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, საასაბუთებლად. ჰუმბოლდტმა საბოლოოდ მაინც ვერ შესძლო ამ ცნების კონკრეტული შინაარსის მოძებნა და მისი ზუსტი განსაზღვრა. კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ენათმეცნიერების დამოუკიდებლობის ცდათა უნაყოფობა ენის შინაგანი ფორმის ცნების ნიადაგზე, ერთი მხრივ, ამ ცნების ჰუსერლისეულისა და, მეორე მხრივ, ვუნდტისეული გაგების შემთხვევებში.

ილაპარაკა რა მეტყველების ანალიზზე, აკად. დ. უზნაძემ განაცხადა: რომ გვაანალიზოთ ენობრივი განწყობის ცნება იმ ფაქტებისებურებათა თვალსაზრისით, რომელთაც სპეციალურ ჰუმბოლდტი ენის შინაგანი ფორმის ცნებაში, და ამავე დროს მხედველობაში ვიქონიოთ ისიც, რომ ენობრივი განწყობა ერთ ენისათვის წარმოადგენს უცხო სფეროს და არც რომელსამე კერძობითი ხასიათის ფაქტორს, არამედ მთლიანსა და ზოგად მოვლენას, რომელიც განსაზღვრავს ენას, როგორც მის ინტელექტუალურს, ისე მის ბგერითს მოტორულ ნაწილში, მაშინ ცხადი გახდება, რომ ენის შინაგანი ფორმის როლს სწორედ განწყობა უნდა ასრულებდეს.

აღსანიშნავია, რომ აკად. დ. უზნაძის ენის შინაგანი ფორმის ცნების ეს ახალი კონცეფცია თვალსაჩინოდ აადვილებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას (საკითხი ენისა და მეტყველების შესახებ; საკითხი ე. წ. შინაგანი მეტყველების შესახებ).

შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები ვ. ნორაკიძე („განწყობა და ხასიათი—ფიქსირებული დინამიკური განწყობის ადამიანი“) და ი. ბეალავა („ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ეპილეფსიისა და ისტერიის გამიჯვნისათვის“).

1 ნოემბერს სესიამ მოისმინა სამი მოხსენება: „ტკბილისა და ფსიქიკურ მოქმედებათა განვითარება ცხოველებში“ (მომხს. პროფ. ნ. ი. ვოიტონისი); „სკოლამდელი ბავშვის ესთეტიკური აღქმის განვითარება“ (მომხს. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ფ. ხუნდაძე) და „განწყობის გადანაცვლებისა და ყურადღების ურთიერთობისათვის“ (მომხს. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. მოსიაკი).

სესიის საბოლოო სხდომაზე, 2 ნოემბერს, პირველი მოხსენებით—„განწყობა და შეფერხება კითხვის ჩვევაში“—გამოვიდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ზ. ხოჯავა. მოხსენება თემაზე: „სენსორული ასიმეტრია და ფიქსირებული განწყობა“ წაიკითხა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ბ. ნაჭაპურიძემ. სხდომის დასასრულს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. ფრანგიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „გული“ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“.

წაკითხული მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აკად. გ. ახვლედიანმა, აკად. ა. კეკელიძემ, აკად. არნ. ჩიქობავამ, აკად. დ. უზნაძემ, პროფ. ვ. თოფურიამ, პროფ. გ. წერეთელმა და სხვ.

სესია დახურა აკად. კ. კეკელიძემ, რომელმაც შემაჯამებელ სიტყვაში მაღალი შეფასება მისცა წაკითხულ მოხსენებებს და ხაზი გაუსვა მათს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ავლაბრის რესტავრირებული ბოლშევიკური სტამბა სანახავად ღია იქნება 7 და 8 ნოემბერს დილის 9 ს. და 30 წ.-დან საღამოს 6 საათამდე. 9 და 10 ნოემბერს ავლაბრის რესტავრირებული ბოლშევიკური სტამბა დახურული იქნება, ხოლო მუზეუმი — ღია.

ლეპეშეგი

უნგრელ ოკუპანტთა საშინელი მხეცობა მათ მიერ დაპყრობილ იუგოსლავიის ტერიტორიებზე

სტამბოლი, 3 ნოემბერი (საკდესი). თურქულმა გაზეთმა „ლა ტიურკიმ“ გამოქვეყნა ცნობა მოსახლეობის ამ მხეცური ხოცვა-ჟლეტის შესახებ, რასაც უნგრელი ოკუპანტები ახდენენ უნგრეთის მიერ დაპყრობილ იუგოსლავიის ტერიტორიებზე.

გაზეთი იუწყება, რომ ოკუპაციის მთელი დროის განმავლობაში ოკუპანტების მსხვერპლთა საერთო რაოდენობამ 100.000 კაცს გადაჭარბა. მთელ რიგ რაიონებში გაჟლეტილია ადგილობრივი იუგოსლავიელი მოსახლეობის დიდი ნაწილი. მაგალითად, ქალაქ სომბორში ოკუპანტთა ხელით დაღუპა 6.000 კაცი. უნგრელმა ოკუპანტებმა ერთბაშად დახვრიტეს ტყვიაფრქვევით ამ ქალაქის 500 მცხოვრები. სომბორის მეტი ნაწილი დანგრეული ან გადამწვარია. ქალაქ ტოპოლაში მარტო რამდენიმე სერბიელი გადარჩა ცოცხალი. ქალაქ ნოვი სადში ოკუპანტებმა ერთ ქუჩაზე მთელი სახლები დაანგრიეს და ამ ქუჩის ყველა მცხოვრები—700-ზე მეტი კაცი—გაჟლეტეს.

„უნგრეთის ხელისუფალთათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო“ სიკვდილით დასჯილია მრავალი მოწაფე. ქალაქ სუბოტიცაში სიკვდილით დასჯა სკოლის შენობების წინ ხდებოდა, რომ ამით „შკოა ესწავლებინათ“ დანარჩენ მოწაფეთათვის. იუგოსლავიის მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უნგრელებმა საკონცენტრაციო ბანაკები შეაქმნეს.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 4 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა აღიაციამ დასწრო კუნძულ ბუგენვილზე ნოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ იაპონელთა კონტრშეტევის მზადებას და იერიში მიიტანა იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებზე რაბაულის რაიონში. ჩაძირულია 3 საფ�ადრო ნაღმოსანი. 8 დიდი საჯავრო გემი 50 ათასი ტონა საერთო წყალწყვილისა და 4 მცირე საკაბოტაჟო გემი. აღნიშნულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა 7 დიდ საჯავრო გემს და 2 დიდ ტანკერს. აეროდრომზე მოსაბილია 8 ჰიდროპლანი, 2 ოთხმოტორიანი მფრინავი ნავი და 7 ავიაგამანადგურებელი. ბევრი თვითმფრინავი დაზიანებულია. კუნძულის თავზე მომზდარ საპაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია 67 თვითმფრინავი. ფიქრობენ, რომ, გარდა ამისა, კიდევ ჩამოგდებულია 23 მანქანა. მოკავშირეთა ავიაციამ 19 თვითმფრინავი დაკარგა.

ტოკიო, 4 ნოემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, 2 ნოემბერს ღილით იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა კუნძულ ბუგენვილის დასავლეთ სანაპიროსთან ბრძოლა გაუმართეს მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალებს. ბრძოლის დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.

საზღვაო ბრძოლა კუნძულ ბუგენვილთან

ლონდონი, 5 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იუწყება, რომ კუნძულ ბუგენვილზე (სოლომონის კუნძულები) 1-2 ნოემბერს მოკავშირეთა საჯდესანტო ოპერაციებისათვის ხელის შეშლის ცდაში მონაწილეობას იღებდა იაპონელთა 12 კრეისერი და საესკადრო ნაღმოსანი. მოკავშირეთა ფლოტმა ბრძოლა გაუმართა იაპონელთა გემებს 40 მილზე მოკავშირეთა ჯარების გადასხმის პუნქტიდან. ბრძოლის შემდეგ, რაც საათ-ნახევარს გაგრძელდა, იაპონელთა სამხედრო-საზღვაო ძალებმა უკან დაიხიეს დასავლეთისაკენ. წინასწარი ცნობებით, ჩაძირულია იაპონელთა ერთი კრეისერი და 4 საესკადრო ნაღმოსანი. დაზიანებულია ორი კრეისერი და ორი საესკადრო ნაღმოსანი. მოკავშირეთა პოზიციებზე იაპონელთა ავიაციის თავდასხმის დროს იაპონელთა 67 თვითმფრინავიდან ჩამოგდებულია 17. აღნიშნულ საზღვაო ბრძოლაში მოკავშირეთა ფლოტს დანაკარგი არა ჰქონია. მოყენებულია მხოლოდ უმნიშვნელო ზიანი, არის მსხვერპლი.

შინაპოლიტიკური კრიზისის გაძნელება გერმანიაში

ჟენევა, 4 ნოემბერი (საკდესი). შვეიცარიული გაზეთი „ბუნდი“ იუწყება, რომ უკანასკნელ ხანს გერმანიაში გამოქვეყნდა ათი სასიკვდილო განაჩენი, რაც გამოტანილი იყო ომისსაწინააღმდეგო განწყობილების გამოთქმისათვის. სიკვდილით დასჯილთა შორის არიან ვაჭრები, სტუდენტები, მოხელეები და სხვა პროფესიათა პირნი.

ეს განაჩენები,—სწერს გაზეთი,—იმას მოწმობს, რომ ჰიტლერულმა მთავრობამ „გამარჯვების რწმენის უქონლობის“, გავრცელების თავიდან ასაცილებლად გადასწყვიტა ფიერესად ულმობელ ომიებსაც კი არ დაერიდოს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, — აცხადებს გაზეთი,—გებელსი ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „დამარცხების მომხრეთა“ რიცხვი უმნიშვნელოა. მაგრამ ის ფაქტი, რომ „დამარცხების მომხრეობის“ წინააღმდეგ კამპანიას დიდი გაზეთები ეწევიან, იმის მაჩვენებელია, რომ ჰიტლერელი ხელისუფლები ითვალისწინებენ ხალხის ყველა ფენაში გავრცელებული პესიმისტური განწყობილების მასშტაბს. გამოქვეყნებულ სასიკვდილო განაჩენთა რიცხვი ფაქტიურად სისრულეში მოყვანილ სასიკვდილო განაჩენთა მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. გამარჯვების რწმენის უქონლობის ნიადაგზე ვრცელდება გერმანიაში არსებული მეფეომარეობის, მის მმართველ მოღვაწეთა და გერმანიაში გამეფებული რეჟიმის საფუძვლების კრიტიკა.

გაიხსნა ამერიკის მეცნიერებული შეკავშირების საწარმოო კრფკავშირთა კონგრესის მე-6 ყრილობა

ფილადელფია, 2 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორ.). 1 ნოემბერს აქ გაიხსნა საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის (სპკ) მე-6 ყრილობა, რომელსაც 600-მდე დელეგატი ესწრება.

ყრილობისათვის გაკეთებულ მოხსენებაში სპკ თავმჯდომარე მერეი მოუწოდებს საწარმოო პროფკავშირთა კონგრესს, რაც შეიძლება მალე დაუკავშირდეს ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ლათინური ამერიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს „იმ მიზნით, რომ მოწვეულ იქნას ყველა გაერთიანებული ერების ორგანიზებულ მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია“. „დადგა დრო, — განაცხადა მერეიმ, — ხელი ავიღოთ ლეგალურ სურვილებზე მუშათა საერთაშორისო ერთობის შექმნისათვის. დადგა მოქმედების დრო“.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ რაც უფრო მოსალოდნელი ხდება ომრძის სახელმწიფოთა უსიტყვო კაპიტულაცია, შეიძლება მოველოდეთ მავნებლურ ცდებს შეასუსტონ ამერიკის შეერთებული შტატების საომარი ღონისძიებანი. საშინაო ფრონტზე ეს საშიშროება თავს იჩენს ზოგიერთი გავლენიანი წრეების მოქმედებით, რომელნიც ცდილობენ გასთიშონ ხალხი, უნდობლობა დასთესონ ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის და გაერთიანებულ ერთა შორის. „მუშათა ორგანიზაციების ამოცანაა,—განაცხადა მერეიმ, — აღმოფხვრას ქვეყნის შიგნით კომპრომისისა და დაზავების ყოველგვარი საფრთხე“.

„გაერთიანებულ ერთა ერთიანობის შენარჩუნება,—ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, იმდენადვე საჭიროა ომის წარმოებისათვის, როგორც ნაციონალური ერთიანობა. გაერთიანებულ ერთა შექმნის შედეგად მსოფლიოს ხალხები მძლავრ, უძლეველ ძალად გადაიქცნენ. ჩვენ ეს მიღწევა უნდა შევინარჩუნოთ არა მარტო ომის განმავლობაში, არამედ მშვიდობიანობის პერიოდშიც. ყოველგვარი ცდა—გასთიშონ ან განაცალკევონ გაერთიანებული ერთა რომელიმე ნაწილი, განხილულ უნდა იქნას როგორც ყველა გაერთიანებულ ერთა ხალხების საერთო საქმის წინააღმდეგ მიმართული დარტყმა“.



ლონდონი ომის დღეებში. სურათზე: ბომბდამშენი „სტირლინგი“, რომელიც მონაწილეობას იღებდა რამდენიმე დიდ თავდასხმაში მტრის ტერიტორიაზე, დადგმულია დასათვალიერებლად მოედანზე წმ. პავლეს ტაძრის წინ.

ქობულეთის რაიონის ციხისძირის ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი რ. ხანანაშვილი და რაიმოწვანის გამგე უ. მეფარიშვილი ამოწმებენ ციტრუსების მოსავალს.

ფოტო რ. აკოფოვისა

საქართველოს მშრომელთა საოქჯომბრო საჩუქრები ფრონტელებს

ქ. ქუთაისი

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქალაქ ქუთაისის მშრომელებმა დიდძალი საოქტომბრო არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს.

27 ოქტომბერს გასაგზავნად მზად იყო 559 ყუთი საჩუქარი, წონით 11 ტონა, გარდა ამისა, 65 ფრთა ქათამი, 100 წყვილი წინდა და ხელთათმანი. საჩუქართა შორის არის არაყი, ღვინო, თამბაქო, კარგი ხარისხის ხილი.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა გმირი წითელი არმიის მებრძოლებს გაუგზავნეს 50 ქილა კონსერვი, 29 ბოთლი სპირტი, 100 კილოგრამი ხილი, 10 შეკვრა თამბაქო და პაპიროსის ქაღალდი.

მაუდელებმა გაგზავნეს 80 წყვილი წინდა, 115 ბოთლი ღვინო და 19 ბოთლი არაყი, 30 კილოგრამი თხილი და ნიგოზი, აგრეთვე 10 შეკვრა მაღალი ხარისხის თამბაქო.

ნ. კოკუზირიძე

ლაგოდეხის რაიონი

ლაგოდეხი („კომუნისტის“ კორ.). წითელი არმიის მამარჯვებებით აღფრთოვანებულმა ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა დიდძალი საჩუქრები გაუგზავნეს წითელი არმიის მებრძოლებს, სულ 84 ტონა. აქედან 7 ტონა ხორცი, 13.832 ლიტრი ღვინო, 4.159 ლიტრი არაყი, 19.840 კგრ ხმელი ხილი, 1.637 კილოგრამი ყველი, 1.967 კილოგრამი თამბაქო, აგრეთვე ნედლი ხილი და სხვ.

ვ. ციბრეკიძე

ცაგერის რაიონი

ცაგერის რაიონის კოლმეურნეები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავისათვის ფრონტელებს უმზადებენ საჩუქრებს. ორბელის, ლაძგვერიის, წიფარჩის, ლუხვანოს და მახურის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა გასაგზავნად მოამზადეს 1.750 კილოგრამი ვაშლი და მსხალი, 178 კილოგრამი ყველი, 906 ცალი ხურჩელი, 1.452 კილოგრამი კაკალი, 578 ლიტრი არაყი, 110 კილოგრამი კომბოსტო და სხვ.

წითელი არმიის ნაწილებს ამ რამდენიმე დღის წინათ რაიონის კოლმეურნეებმა უკვე გაუგზავნეს 543 წყვილი ხელთათმანი და 426 წყვილი წინდა.

ვლ. ხეცურიანი

ზუგდიდის რაიონი

სოფ. ჭალვინჯის ჩარკვიანის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის წევრებმა ჩვენი სამშობლოს დამცველებს გაუგზავნეს 200 ლიტრი ღვინო, 200 კილოგრამი ხილი, 100 კილოგრამი ხორცი და სხვ. ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მშობლიური წითელი არმიის მებრძოლებისათვის გაგზავნეს 300 ლიტრი ღვინო, 50 კილოგრამი ხორცი, 20 ფრთა ქათამი. სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეაგროვეს 400 კილოგრამი თხილი, 100 კილოგრამი ყველი, 15 კილოგრამი თამბაქო და სხვ. საჩუქრები.

ბ. ალფიბაია

კომკავშირის XXV წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში მოაწყო კომკავშირის XXV წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილ ფოტოსურათებში, ნახატებში, დიაგრამებში ნაჩვენებია საქართველოს ახალგაზრდობის ის გმირული ბრძოლა და შრომა, რომელსაც იგი ეწევა სამამულო ომის დღეებში ფრონტზე და ზურგში. აქ ნახავთ ქართველი ხალხის სახედოვანი შვილების, კომკავშირში აღზრდილი ახალგაზრდების, სამამულო ომის მონაწილეების—მფრინავ დორეულის, დ. ჩხიკვიშვილის და სხვათა პორტრეტებს, შესრულებულს ქართველი მხატვრების მიერ, საბჭოთა კავშირის გმირების—ვ. კანკავას, ვ. კუთალაძის, ვ. ხარაზიას, მ. გიხოკიძის, ჭ. ბენდელიანის, ნ. ადამიას, ა. პირმისაშვილის, ვ. ლურსმანაშვილის, ს. კობლოვის, ვ. პოპკოვისა და სხვების ფოტოსურათებს, გმირებისა, რომლებიც თავდადებულად იბრძოდნენ და იბრძვიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, სამშობლოს ღირსებისა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

კომკავშირის XXV წლისთავის სახელობის სოცშეჯიბრების ინიციატორები — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოწინავე ახალგაზრდები დაზგებთან, თავის-თავზე მუშაობის მომენტებში, თბილისის საორთქლმავლო და საელმავლო დეპოს წარჩინებული ახალგაზრდები, შრომითი რეზერვების სამმართველოს სასწავლებელთა მოსწავლეები, ტყიბულის შახტების ახალგაზრდობა, საკოლმეურნეო მინდვრების ახალგაზრდა სტახანოველები, პიონერები და მოსწავლეები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, წითელი არმიის მებრძოლთათვის საჩუქრების შეგროვების მომენტში, სწავლის ფრიადოსნები და სხვ. წარმოდგენილი არიან ფოტოსურათებითა და დიაგრამებით.

ყველაზე დიდი განყოფილება დათმობილი აქვს ახალგაზრდებისა და ბავშვთა შემოქმედებას. აქ წარმოდგენილია არიან მხატვრები, ნორჩი ტექნიკოსები, ავიომოდელისტები. ყურადღებას იპყრობს პიონერ ა. გოლომბეკის ნახატები „გრანატის მტყორცნელი“ და „გერმანელები აღმოსავლეთში“, გალკოვის „პარტიზანები“, თურქიის „ილიას სახლი“, ზურაბოვის „პარტიზანთა დაკითხვა“, გიორგობინის „დაზვერვა“ და „პარტიზანები“, ფოცხიშვილის „შეტევა“, მოსესოვის „ფაშისტთა ტყვეობაში“. ამავე განყოფილებაში მრავალი ღირსშესანიშნავი დოკუმენტებით წარმოდგენილია ქალაქ გორის ისტორია (დაწყებული VII საუკუნიდან დღემდე), ქალაქისა, სადაც დაიბადა და თავისი ყრმობა გაატარა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა.

გამოფენა მნახველს მისცემს წარმოდგენას იმ დიდ მუშაობაზე, რასაც ეწევა საქართველოს კომკავშირი და ახალგაზრდობა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში.

„მკაცრი დღეები“ ჭიათურის სახელმწიფო თეატრში

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ი. ვსევოლოჟსკისა და დ. რუდნევის პიესა „მკაცრი დღეები“ (თარგმანი გრ. ხუცუბიძისა).

ლენინგრადის გმირული დაცვის ამსახველი ეს პიესა დასდგა ახალგაზრდა რეჟისორთა შემოქმედების საკავშირო დათვალიერების მონაწილემ გრ. ტყაბლაძემ. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები გ. ნუცუბიძე (საქ. სსრ დამსახურებული არტისტი), მ. ვაშაძე, ბ. კუსიანი, ბ. რომანიშვილი, ვ. სვანელი, შ. ბანეთიშვილი, ბ. დუმიშიძე, ვლ. ყველაშვილი და თეატრის ახალგაზრდა ძალები. დადგმა მხატვრულად გააფორმა კ. ჩხეიძემ.

პრემიერას წარმატება ხვდა.

თეატრის კოლექტივმა პრემიერა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს მიუძღვნა.

ლანჩხუთის თეატრი

ლანჩხუთის თეატრი მრავალი წელია რაიონიერად მუშაობს. წელს თეატრის ხელმძღვანელობა განახლებულია. დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნულია ჯ. ეორდანია, დამდგმელ რეჟისორად მუშაობს ვ. წულაძე.

თეატრი 1943-44 წლის სეზონში დადგამს გორდაძის „ქართველ ქალს“, შალიკაშვილის „უნიადაგონს“, ჭორელის „მარკიტანკა სიგარეტს“, კატაევის „ლურჯ მანდილს“, მ. ჯაფარიძის „ეამთაბერის ასულს“ და გამართავს ერთმოქმედებიანი პიესების საღამოს. აღდგენილი იქნება წინა წლების დადგმები: „იაფანა“, „და-ძმა“, „შურისძიება“, „ციხის საიდუმლო“ და „კოლმეურნის ქორწინება“.

საქართველოს ახალი ჩემპიონები

დამთავრდა შეჯიბრება ფრანგულ ჭიდაობაში საქართველოს 1943 წლის ინდივიდუალურ პირველობაზე. მასში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების მოწინავე სპორტსმენები 25 კაცის შემადგენლობით.

ცალკეული წონითი კატეგორიის მიხედვით გამარჯვება და საქართველოს 1943 წლის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვეს:

მჩატე წონაში—მიმინოშვილმა (ბათუმი, „დინამო“), ქვეშუბუქ წონაში—ილურიძემ (ფიზკულტურის ტექნიკუმი), მსუბუქ წონაში—ჩიპაევმა (შავი ზღვის ფლოტი), ქვესაშუალო წონაში—კუზიანიძემ (თბილისი, „დინამო“), საშუალო წონაში—ჩიხლაძემ (ფიზკულტურის ტექნიკუმი), ხოლო ქვემძიმე წონაში—სპორტის ოსტატმა მაჩკალიანმა (თბილისი, „დინამო“).

რესპუბლიკური პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილები დაიკავეს: ეგაზაროვმა (თბილისი), აფანასიევმა (ბათუმი), ნაზარიანცმა (წითელი არმიის სახლი), შარვაძემ (ბათუმი), ხაინტიმურიანმა (შავი ზღვის ფლოტი) და ჯავახიშვილმა (წითელი არმიის სახლი).

პირველობის გათამაშებას დიდძალი მაყურებელი დაესწრო. შეჯიბრებას კარგად სჯიდა მსაჯთა კოლეგია უფროსი მსაჯის ამ. ყანჩელის მეთაურობით.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

თეატრებში

6 ნოემბერს: **რუსთაველის**—„ბრუსილოვი“. **მარჯანიშვილის** — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. **გრიბოედოვის** — „ინჟინერი სერგეევი“. **სომხური**—„ეულკანზე“. **ახუნდოვის** — „მახაბეტ“. **მუსკომედიის** — „ხაჯარათი“. **მოზარდი მაყურებლის** — ქართ.—„ვალია სოკოლოვა“, რუსული—„რაიკომის მდივანი“.

კინოებში

6 ნოემბერს: **რუსთაველი**—„პაერის მეტეორ“. **ოქტომბერი**—„ნასრედინი ბუხარაში“. **დამკვრელი** — „გიორგი საკაძე“, 1 სერია. **კომკავშირელი** — „ის იცავს სამშობლოს“. **ლუქსემბურგის სახ.** — „სახალხო შურისმგებელნი“. **სპარტაკი**—„გიორგი საკაძე“, 1 სერია. **26 კომ. სახ.**—„ზღვის ქორი“.

სახელმწიფო დაზღვევა

სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევაზე სიკვდილისა და ინვალიდობის შემთხვევისათვის მიიღებიან პირები ასაკით 16-დან 55 წლამდე.

დაზღვევა დაიდება ყოველ სადაზღვევო თანხაში ეადით 1-დან 20 წლამდე.

დაზღვევის საკითხებზე მოსალაპარაკებლად მიმართეთ სარაიონო (საქალაქო) ფინანსთან არსებულ სახდაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

მშობლები აუწყებენ მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ 9/XI, დღის 5 საათზე ვერის ძველ სასაფლაოზე **დაზმირ პეტრეს-ძე შარიას** საფლავზე შესდგება სამოქ. პანაშვიდი.

საქ. ჯ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ადგილკომი იუწყება **ვასილ ალექსის-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას.

საქ. სახელმწიფო უმაღლესების სახალხო კომისარიატის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **კონსტანტინე ოქროპირის-ძე ციბაშვილის**